საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 246 (774) სამშაბათი, 16 ნოემბერი, 1993 წელი ფასი 200 კუპონი.

ედუარდ შევარდნაძე: ხელისუფლება ინტენსიურად მუშაობს, რათა დასავლეთ საქართველოში აღდგეს ცხოვრების ნორმალური რიტმი

ბუნებრივია, დღეს ყველა ჩვენგანის ყურადღება დასავლეთ საქართველოსაკენ არის მიპყრობილი. ახლა იქ შედარებით მშვიდი სიტუაციაა. რა ზომებს იღებს ქვეყნის ხელისუფლება შემდგომი სტაბილიზაციისთვის და სად გაქრა ექსპრეზიდენტის მომხრეთა საკმაოდ დიდი შეიარაღებული რაზმი? — კომენტატორ ნატო ონიანის ამ შეკითხვით დაიწყო 15 ნოემბრის რადიოინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარესთან — სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან.

— დასავლეთ საქართველოში მართლაც გამოიკვეთა სტაბილურობის გარკვეული ტენდენციები და ძირითადი წინააღმდეგობა ექსპრეზიდენტის მომხრეებისა, რომლებშიც უმეტესად ბანდიტური და მძარცველთა ჯგუფები იყო გაერთიანებული, დაძლეულია. ხელისუფლება ერთობ ინტენსიურად მუშაობს, რათა აღდგეს ცხოვრების ნორმალური რიტმი. მოგეხსენებათ, რომ ამ რეგიონში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად იმყოფება აფხაზეთიდან გამოდევნილი ათი ათასობით ადამიანი. ბუნებრივია, ეს კიდევ უფრო ამძიმებს გარემოებას. ჩვენ მაინც ვცდილობთ შევქმნათ ცხოვრებისა და მუშაობის ელემენტარული პირობები. რაიონებში ძირითადად დაიწყო პურის ცხობა, იქმნება სტრუქტურები ადგილობრივ ორგანოებში აფხაზეთიდან გამოდევნილთა აღრიცხვის გასაუმჯობესებლად, ჰუმანური დახმარების ორგანიზებულად მიწოდებისათვის, რათა ყველაფერი სამართლიანობის პრინციპზე იყოს აგებული.

ცნობილია, რომ ფოთი, მაგალითად, მთელი ორი თვის განმავლობაში წყალს არ იღებდა, ასე იყო სენაკშიც, არ იყო ელექტროენერგია. ახლა წყალმომარაგება, ასე თუ ისე, გარანტირებულია თითქმის ყველა რაიონში, განსაკუთრებით კი ფოთსა და სენაკში, სადაც ამის მწვავე ნაკლებობა იყო. ამ რაიონებს მიეწოდება ელექტროენერგია, აღდგენილია კავშირგაბმულობის საშუალებებიც და, ბოლოს და ბოლოს, დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონი იღებს საქართველოს რადიო და ტელეგადაცემებს. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მუშაობას იწყებენ სკოლები, სავადმყოფოები, სამართალდამცავი ორგანოები.

ჩვენი ჩასვლისას, პრაქტიკულად სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთაგან მესამედი თუ იყო ადგილზე, დანარჩენი ან დათხოვნილი იყო, ან თვითონ მიატოვა სამუშაო. ყველაფერი ეს მოსაგვარებელი გახდა. პროცესი ახლაც მიმდინარეობს. საკმაოდ აქტიურად მოქმედებს იქ საგანგებო კომიტეტი, ეხმარებიან რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები. უკვე მეორედ გაემგზავრა ბატონი ზ. კერვალიშვილი მინისტრების ჯგუფთან ერთად. იგი იყო ზუგდიდში, ხობში და მიიღო საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ცხოვრების რიტმის აღსადგენად. ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მარტვილის რაიონებში. პრემიერ-მინისტრი ბატონი ო. ფაცაცია წუხელ გაემგზავრა ფოთში. დღეს იქნება ზუგდიდსა და ზოგიერთ სხვა რაიონში, დარჩება იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც საჭიროა. იქ არიან ჩვენი სამხედრო პირები. კერძოდ, ზუგდიდში ფუნქციონირებს მთავარი სამხედრო შტაბი ბატონ ნიკოლაიშვილის ხელმძღვანელობით. ეს, თავისთავად, კეთილსასურველ გავლენას ახდენს იქ შექმნილ ვითარებაზე. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ პირველი დადებითი ნაბიჯებია.

კვლავ დიდი სიძნელეებია ელემენტარული საგნებით, პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგებაში, რაც, ერთი მხრივ, ჩვენს გარკვეულ განგაშს იწვევს, მაგრამ, მეორე მხრივ, გასაგებიც უნდა იყოს, რადგან ბანდიტური ჯგუფებისა და რაზმების საკმაოდ ხანგრძლივმა თარეშმა ძალიან მძიმე კვალი დატოვა.

ახლა ამ რაზმების ერთი ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიაზეა. ჩვენი ზუსტი მონაცემებით, ზოგიერთი მათგანი, კერძოდ, ისინი, რომლებიც გამსახურდიას უახლოეს გარემოცვას წარმოადგენენ, პრაქტიკულად არძინბას მებრძოლებთან, მის ბოევიკებთან გაერთიანდნენ. უფრო სწორად, ეს გაერთიანება ადრეც არსებობდა, ახლა კი ფაქტობრივადაც მოხდა მათი გაერთიანება. როგორც უნდა უარყონ კონფედერატებმა და სხვებმა, ეს ფაქტია. ჩვენ ტყვეებიც გვყავს, რომლებიც ადასტურებენ, რომ აფხაზეთში იბრძოდნენ ჩეჩნები, აფხაზი ბოევიკები, იყვნენ ოსებიც ჩრდილოეთიდან, ზოგიერთი სხვა ეროვნების წარმომადგენლები, კაზაკები, სხვა დაქირავებულები. იგივე ხალხი იბრძოდა სამეგრელოშიც. ახლა მიმდინარეობს გამოძიება და ეჭვი არ მეპარება, რომ ყველაფერი ეს დადასტურდება და ჩვენი მოსახლეობა ყველაფერს გაიგებს.

დღესდღეობით უმთავრესია რეგიონში წესრიგის სრული აღდგენა და დამყარება. იქ კიდევ გაიგზავნა პოლიციის დამატებითი ძალები, რომლებიც ქალაქებსა და სოფლებში წესრიგისთვის აგებენ პასუხს. უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო კარგად ართმევს თავს პრობლემებს.

ასე რომ, მოსახლეობას შეიძლება იმედი ჰქონდეს, რომ პოლიცია მათ გვერდით იქნება და დაიცავს მათს ინტერესებს. მე ახლა აქ ყურადღებას უფრო მეტად სამეგრელოზე ვამახვილებ, მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას სამტრედიაზე, ხონზე, ლანჩხუთზე, ოზურგეთსა და ზოგიერთ სხვა რაიონზე, სადაც მოასწრეს შესვლა ქობალიას რაზმებმა და თავიანთი კვალი დატოვეს.

როცა დასავლეთ საქართველოში გარკვეულ სტაბილურობაზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არა მაქვს აფხაზეთი, უნდა გამოვყოთ თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული რაზმების, მხედრიონის, შინაგანი ჯარებისა და მოსახლეობის იმ ნაწილის ძალიან დიდი, გადამწყვეტი როლი, რომლებიც აქტიურად გვიჭერდნენ მხარს. უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა შეიარაღებული ბანდიტების განდევნა. ვფიქრობ, ამ მხრივ ძალიან დიდი საქმე გაკეთდა. მოვა დრო და ვიტყვით ამას, დავასახელებთ ყველას, ვინც თავი გამოიჩინა.

რაც შეეხება იმ დიდად სამწუხარო და დასანან ფაქტებს, რომლებიც დაკავშირებულია მაროდიორობასთან, უნდა გითხრათ, რომ ამ რაიონებში ყოფნისას მე თვითონ გავხდი მოწმე ათობით და ასობით ქურდისა და მძარცველის მხილებისა, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ საომარ ოპერაციებთან, საერთოდ ჩვენს შეიარაღებულ ფორმირებებთან. ისინი თავს ხან გვარდიის, ხან მხედრიონის, ხან კი შინაგანი ჯარების წარმომადგენლებად ასაღებენ. სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ზოგიერთი ჩვენი ჯარისკაცი და ოფიცერი საკუთარ ქვეყანაში მართლაც დაადგა მძარცველობისა და მაროდიორობის გზას. ამ მოვლენისადმი მეთაურების მხრიდან შეინიშნება ერთგვარი შემრიგებლური დამოკიდებულება. მე არაერთხელ მითქვამს დადებითი და საქებარი სიტყვები ჩვენი თავდაცვის სამინისტროს, მხედრიონის, შინაგანი ჯარების მისამართით. მაგრამ ახლა, როცა მძარცველობისა და მაროდიორობის ფაქტებმა ასე შეგვაწუხა და, უპირველეს ყოვლისა შეაწუხა მოსახლეობა, უნდა გამოითქვას სერიოზული შენიშვნებიც. ვფიქრობ, თავდაცვის სამინისტროს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია.

15 ნოემბრის რადიოინტერვიუ

ახლა დასავლეთ საქართველოში უნდა მოქმედებდეს სამხედრო პოლიციის სპეციალური სადამსჯელო რაზმი. ასეთი ბრძანება დაიწერა, პოლიციას დავალება მიეცა. ამ საქმეს გამოცდილი მუშაკი ბორის ივანოვი ხელმძღვანელობს. მას რამდენჯერმე მე თვითონ მივეცი პერსონალური დავალება, მაგრამ არ შესრულდა ისე, როგორც უნდა შესრულებულიყო. ასეთივე დავალება მიიღო გენერალმა ლანჩავამ. რომელიც შინაგან ჯარებს ხელმძღვანელობდა იმ დღეებში. არაფერი არ გაკეთებულა. მთავარსარდლის ბრძანების შეუსრულებლობისთვის გადაწყვეტილი მაქვს ერთსაც მოვთხოვო პასუხი და მეორესაც. ათჯერ ნაკლები იქნებოდა წინააღმდეგობა დასავლეთ საქართველოს ამ რაიონებში, ძარცვა-გლეჯა რომ არ ყოფილიყო. ეს მარტო სამეგრელოს არ ეხება, ნაკლები როდი გადაიტანა სამტრედიამაც. ასეთივე ფაქტები იყო, სამწუხაროდ, ხონსა და ზოგიერთ სხვა რაიონშიც. ყველამ უნდა მოჰკიდოს ხელი მაროდიორობის წინააღმდეგ ბრძოლას, ყველამ უნდა შეიგნოს, რომ საკუთარ ქვეყანაში მაროდიორობა და საკუთარი ხალხის ძარცვა ეროვნული უბედურებაა. მე არ ვაჭარბებ, როცა ამას ვამბობ. ხანდახან ვხედავდი ამ ფაქტებს, მაგრამ უძლური ვიყავი. მაგალითად, სამტრედიიდან სამეგრელოს რაიონებისაკენ მომავალმა დავინახე მანქანების მთელი წყება. ყველაფრიდან ჩანდა, ნაძარცვი და გატაცებული მანქანები რომ იყო. სათანადო დავალების გაცემის შემდეგ დადასტურდა, რომ ეს მართლაც ასეა. ზოგიერთი ოჯახიდან ყველაფერი გაიტანეს, რის გატანაც შეიძლებოდა. მე არ ვამბობ. რომ ამას ჩვენი ჯარისა და სამხედრო ფორმირებების დიდი ნაწილი აკეთებს. ვიმეორებ, ალბათ, ვერც ერთი მემატიანე ვერ აღწერს ჩვენი ბიჭების გმირობას, რომლის მოწმეც მე თვითონ ვარ, მაგრამ რაღაც ნაწილი რომ ამას სჩადის, ყველაფერი წყალში იყრება. ამიტომ მიმაჩნია: ყველა მეთაურმა, თავდაცვის სამინისტრომ, მხედრიონისა თუ შინაგანი ჯარების, მოხალისეების მთელმა სისტემამ, ყველამ უნდა დაისახოს ამოცანად ასეთი სამარცხვინო მოვლენის აღმოფხვრა. მე გავეცი ბრძანება, მაროდიორების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ისინი ადგილზე გაანადგურონ. ამის მსგავსი ერთი-ორჯერ უკვე გაკეთდა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

უნდა ვთქვა ისიც, რომ ჩვენი იმედები ვერ გაამართლა სამხედრო პროკურატურამ. მე ხშირად ადგილებზე — რაიონებსა და ქალაქებში ვხვდები ბატონ შუშანაშვილს. მაგრამ მისი გაკეთებული ჯერ არაფერი მინახავს. ლაპარაკი იმაზე, რომ კანონები არა გვაქვს, კანონები უნდა გავამკაცროთ, ახლა პროექტებს შევადგენთო, საქმეს ვერ შველის. ჩემი აზრით, სამხედრო პროკურატურას გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ უკმაყოფილო ვარ სამხედრო პოლიციის საქმიანობით, სამხედრო პროკურატურის და საერთოდ, ამ სფეროსა და ამ დარგში პროკურატურის მუშაობით. მაროდიორები საქართველოს მტრები არიან. ვინც საკუთარ ხალხს ძარცვავს, იმ კაცს უფლებაც არა აქვს დაიცვას თავისი სამშობლო, თავისი მიწა-წყალი და თავისი ხალხი.

ასევე არანაკლებ უკმაყოფილებას გამოვთქვამ პროკურატურის იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც ვალდებული იყვნენ აქამდე თავიდან ბოლომდე გამოეძიებინათ გამსახურდიასა და მისი დანაშაულებრივი დაჯგუფების საქმეები. ეს ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროსაც და უშიშროების სამსახურსაც. მე მათ ვუბრძანებ, რომ ხელი მოჰკიდონ ამ საქმეს. გამოიძიონ ყველაფერი — რა გააკეთეს, რა დაუშავეს გამსახურდიამ და მისმა ამფსონებმა საქართველოს. მხედველობაში მაქვს კრიმინალური დანაშაული და არა პოლიტიკური თვალსაზრისი. მე ვნახე თუ რა დანაშაული ჩაიდინეს მათ ქართველი კაცისა და საქართველოს წინაშე. ყველაფერი ეს უნდა გამოვიტანოთ დღის სინათლეზე, უნდა გაცხადდეს და არა მხოლოდ სიტყვით. ყველა მოქალაქემ უნდა გაიგოს, ვისთან ჰქონდათ საქმე, ვინ იყო ყოფილი პრეზიდენტი და რას წარმოადგენს ეს დაჯგუფება, რომელმაც ამდენი ტკივილი მიაყენა ქვეყანას. ახლა დიდი ბრიგადაა შექმნილი, დასავლეთ საქართველოში მუშაობს გენერალური პროკურორი, უშიშროების სამსახურის საკმაოდ მძლავრი რაზმი, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები და, ვფიქრობ, უახლოესი ერთი-ორი თვის განმავლობაში საქართველო ყველაფერს გაიგებს.

ჩემი აზრით, როცა ამიერიდან გამსახურდიაზე ვილაპარაკებთ, უნდა ვილაპარაკოთ არა როგორც პოლიტიკოსზე, არამედ როგორც ჩვეულებრივ დამნაშავესა და ბოროტმოქმედზე. ეს ყველამ უნდა გაიგოს, ყველამ, ვინც მისი მოწინააღმდეგეა და ვინც ფანატიკურად მისი ერთგული იყო აქამდე.

— გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთობლივი მოქმედების გეგმები დასახა რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ: მონარქისტებმა, ტრადიციონალისტებმა, კოსტავას საზოგადოებამ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ, ქარტია-91-მა. ეს ის პარტიებია, რომლებიც ზოგჯერ შეურიგებელიც იყვნენ ერთმანეთის მიმართ. ხომ არ არის შევარდნაძე ამ პოლიტიკურ ძალასთან მარტო? ეს ხომ ოპოზიციურად განწყობილი პარტიებია?

— ალბათ, ასეთი ბლოკის შექმნა სავსებით მოსალოდნელი იყო და პრაქტიკულად კიდეც არსებობდა, ახლა კი დაიწყო გაფორმების პროცესი. არ ვიცი, რამდენად მყარი იქნება ეს ბლოკი. მე არაერთხელ განმიცხადებია, რომ დამჭირდება გამოვიდე ინიციატივით პოლიტიკური ძალის — პარტიის შექმნის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ოფიციალურად განვაცხადე, მაინც მიჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან, ასეა თუ ისე, ეს ერთგვარ დაძაბულობას აღრმავებს, ოპოზიციასთან გამოიწვევს დაპირისპირებას და წინააღმდეგობას. მინდოდა როგორმე გამეჭიანურებინა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ჩვენი ოპონენტების გადაწყვეტილების შემდეგ, უფლება არა მაქვს არ დავაჩქარო ეს პროცესი. ახლა, როგორც იტყვიან, გამოწვევა უნდა მივიღოთ და შევქმნათ პოლიტიკური ორგანიზმი, პოლიტიკური მექანიზმი. დღეს მიჭირს თქმა, რა სახელწოდება ექნება, როგორი იქნება პროგრამა და დეკლარაცია, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს იქნება საქართველოში ძირითადი წამყვანი პოლიტიკური ძალა და იმდენად მძლავრი, რომ დაე, გაშინაწყუნდნენ ჩემი პოლიტიკური ოპონენტები, მაგრამ ვერავითარი ბლოკი მას ვერ შეედრება, ძირითადად თავისი შემადგენლობით, იმ მიზნებიდან გამომდინარე, რომლებსაც ეს პოლიტიკური ძალა ისახავს. და შეიძლება, არც ის იყოს მთლად მეათეხარისხოვანი, რომ იქ შევარდნაძე იქნება. წინასწარ მინდა განვაცხადო, მე და ჩემი თანამოაზრენი მზად ვართ, რათა მომავალში, როცა ეს პოლიტიკური ძალა გაფორმდება, ვითანამშრომლოთ ყველა გონიერ და ნორმალურ პოლიტიკოსთან და პოლიტიკურ ძალებთან.

— ამას წინათ განაცხადეთ, აფხაზეთს დავიბრუნებთ სამხედრო ან პოლიტიკური გზითო. საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნა: გამსახურდიას მომხრეები აფხაზეთის ტერიტორიაზე არიან, როგორც ოფიციალური წყაროები ამბობენ, თავადაც იქ არის. ბოლო დღეებში არძინბას მხრიდან ისეთი პროვოკაციული განცხადებები კეთდება, როგორიც ომის დაწყების პირველ დღეებში კეთდებოდა. როგორ განვითარდება მოვლენები?

— ომის დაწყების წინა პერიოდიდან მოკიდებული და უფრო შორეული წარსულიდანაც, ყველაფერი სცენარის მიხედვით ვითარდებოდა და ეს სცენარი მარტო არძინბას შედგენილი არ იყო. ამ სცენარის ავტორები საკმაოდ დიდი ძალისა და გავლენის მქონე ხალხი იყო, არა მარტო და არა იმდენად აფხაზეთში, არამედ სხვა ქვეყანაში. არძინბას ახლანდელი გამოსვლები ცხადყოფს, რომ ის ავტორები, რომლებიც მასთან თანამშრომლობდნენ, აღარ ჩანან. ზოგი, მოთავსებულია იქ, სადაც უნდა მოთავსებულიყო 3-4 ოქტომბრის მოვლენების შემდეგ. ზოგს კიდევ ამის ხალისი აღარ აქვს, რადგანაც ფიქრობს, შეიძლება იგივე ბედი ეწიოს, რაც ხასბულატოვს, რუცკოის, მაკაშოვსა და სხვებს. მაგრამ ეს სულაც არ აუბრალოებს ჩვენს ამოცანებს. ვიმეორებ, რომ არცერთი ქართველი და საქართველოს არცერთი მოქალაქე არ შეეგუება აფხაზეთის დაკარგვას, აფხაზეთის გამოყოფას. სხვათა შორის, არც რუსეთი ეგუება ამას. ახალი კონსტიტუციის პროექტში (ვითომ ეს არ იცის არძინბამ, ისე მოაქვს თავი) აღარ არის პუნქტი გამოყოფის უფლების შესახებ და სუვერენიტეტიც სხვაგვარად არის განმარტებული. წინათ ხშირად გვიკიჟინებდნენ, აიღეთ მაგალითიო. რა თქმა უნდა, ავიღებთ, და ჩვენ ვიცით რა უნდა გავაკეთოთ.

ჩვენ ყველა გზას გამოვიყენებთ სამართლიანობის აღსადგენად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობის დასაცავად. არც პოლიტიკურ მოწესრიგებაზე ვამბობთ უარს: ჟენევაში შეხვედრაზე გაიგზავნება ჩვენი ძალიან ავტორიტეტული დელეგაცია, არც სხვა გზების ძიებაზე ვიტყვით უარს.

კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ჩვენი დაბრუნება აფხაზეთში, კერძოდ აფხაზეთიდან ათი ათასობით დევნილის დაბრუნება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ აფხაზებს ისე მოვექცეთ, როგორც არძინბას ბანდიტური ჯგუფი მოექცა ქართულ მოსახლეობას.

ამასწინათ აფხაზეთიდან დევნილი ერთი მანდილოსანი შემხვდა და მიამბო, როგორ აწამეს მისი ოჯახი, როგორ ამოუწყვიტეს ოჯახის ყველა წევრი. მხოლოდ იგი გადარჩა და გადაარჩინა მოხუცმა აფხაზმა, რომელმაც 15-20 დღე თავის სახლში შეიფარა ქართველი ქალი.

ჩვენ სულაც არ ვაპირებთ აფხაზ ხალხზე შურისძიებას. დარწმუნებული ვარ, აფხაზები კვლავ დარჩებიან ქართველების ძმებად და მეგობრებად, მიუხედავად ამდენი უბედურებისა და ტკივილისა. ჩვენ არ გვინდა, რომ არძინბას დანაშაულობანი მთელ აფხაზ ხალხზე გავრცელდეს. მინდა ჩემი ხმა როგორმე მისწვდეს ყველა აფხაზს. თუ ქართველები დაბრუნდებიან აფხაზეთში, აფხაზები და ქართველები კვლავ ერთად იცხოვრებენ ახალ პირობებში, ახალ ეპოქაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც ნათესავები, მეგობრები და კეთილისმყოფელნი. არძინბას განცხადებებს ეტყობა გარკვეული ნერვიულობაც, უსისტემობაც და ისიც, რომ ამას ლაპარაკობს კაცი, რომელმაც უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა არა მარტო ქართველების, არამედ კაცობრიობის წინაშე და ახლა მოსვენებას უკარგავს იმის ფიქრი, რომ სამართალმა უნდა თქვას თავისი სიტყვა.

აზერბაიჯანის სახელმწიფო მდივანი საქართველოში

15 ნოემბერს თბილისს ერთდღიან ოფიციალურ ვიზიტად ეწვია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო მდივანი ქალბატონი ლალა გაჯიევა.

ნაშუადღევამდე სტუმარი ჩავიდა მარნეულის რაიონში, შეხვდა საზოგადოებრიობას, რაიონის აქტივს. სახელმწიფო მდივანი ეწვია საწარმოო გაერთიანება „თამარისს", დაათვალიერა ალგეთის მეურნეობა.

ქალბატონმა ლალა გაჯიევამ გვირგვინით შეამკო გამოჩენილი აზერბაიჯანელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნარიმან ნარიმანოვის ძეგლი.

საღამოს საქართველოს პარლამენტის მიღებათა დარბაზში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობისა და ორმხრივი უშიშროების შესახებ ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის ოქმის ხელმოწერის ცერემონია. ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, სხვა ოფიციალური პირნი.

ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა აზერბაიჯანის სახელმწიფო მდივანს

15 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო მდივანი ქალბატონი ლალა გაჯიევა.

სტუმარმა სახელმწიფოს მეთაურს გააცნო მარნეულის რაიონში მოგზაურობის, ადგილობრივ და მახლობელი რაიონების მოსახლეობასთან გამართული შეხვედრებისა და საუბრების შედეგები. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში შექმნილმა რთულმა ვითარებამ მძიმე გავლენა მოახდინა ამ რაიონების აზერბაიჯანელი მოსახლეობის ცხოვრებისა და ყოფის პირობებზეც. უაღრესად გამწვავებულია კრიმინოგენული ვითარება.

სახელმწიფოს მეთაური დაპირდა სტუმარს, რომ განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს მარნეულის, დმანისის, ბოლნისისა და სხვა იმ რაიონებში სიტუაციის მოწესრიგებისათვის. მან აღნიშნა, რომ ქართველები და აზერბაიჯანელები, აი, უკვე მრავალი საუკუნეა ცხოვრობენ ერთმანეთის გვერდით და მათ შორის არ ყოფილა უთანხმოება. ყველა ჯურის დამნაშავეთა წინააღმდეგ წარმოებს სასტიკი ბრძოლა და ასე იქნება მუდამ.

საუბრის დროს გამოითქვა რწმენა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ტრადიციული ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, სხვა ოფიციალური პირნი. აზერბაიჯანის დელეგაციის წევრები.

საქართველოს კვლავაც გაუწიოთ ჰუმანიტარული დახმარება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის განცხადება

უშიშროების საბჭო დიდი შეშფოთებით ადევნებს თვალს იმას, თუ როგორ ვითარდება მოვლენები საქართველოს რესპუბლიკაში, სადაც მზარდ უწესრიგობას მოსდევს სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი ტანჯვა-წვალება, ამან კი სერიოზულად შეიძლება გააუარესოს სიტუაცია მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში.

ამასთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭო ცნობად იღებს საქართველოს რესპუბლიკის მოწოდებას რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკისადმი დაეხმარონ საქართველოს რესპუბლიკას რკინიგზების დაცვასა და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფაში. ეს რკინიგზები უაღრესად მნიშვნელოვანი კომუნიკაციებია ამიერკავკასიის სამი ქვეყნისთვის. ამ კომუნიკაციათა უსაფრთხოების უზრუნველყოფა გაუმჯობესდა იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც რუსეთის ფედერაციამ განახორციელა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თხოვნის შესაბამისად.

უშიშროების საბჭო მოუწოდებს საერთაშორისო გაერთიანებას, კვლავაც გაუწიოს საგანგებო ჰუმანიტარული დახმარება საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას.

უშიშროების საბჭო კვლავ რეგულარულად განიხილავს ამ საკითხს და დაინტერესებულ მხარეებს სთხოვს შეატყობინონ, თუ როგორ ვითარდება მოვლენები.

პირველი სვეტი

ცნობები დასავლეთ საქართველოდან

ზუგდიდი. გამგებელმა ედიშერ ჩარგაზიამ გვაცნობა, რომ ზუგდიდში ღამემ მშვიდად ჩაიარა. ჯერჯერობით საწარმოებს არა აქვთ ელექტროენერგია, მოსახლეობას კი ელექტროენერგია სენაკიდან მიეწოდება, ყაჩაღობას ადგილი არა აქვს. მიმდინარეობს მოლაპარაკება იარაღის ჩაბარების თაობაზე.

წალენჯიხა. ქალაქსა და რაიონში ვითარება სტაბილური ხდება, — უთხრა ტელეფონით საუბრისას საქინფორმის კორესპონდენტს წალენჯიხის რაიონის კომენდანტმა ჯემალ ჯანაშიამ. — მოსახლეობამ იწყო ქალაქში გამოსვლა, ამოძრავდა ტრანსპორტი ზუგდიდის მიმართულებით. ამ დღეებში ავტობუსები თბილისს წავლენ. ქალაქში საწვავის უქონლობის გამო პური არ ცხვება, პური ზუგდიდელებმა მოგვაწოდეს. ყველაფერი კეთდება პურის ცხობის აღსადგენად. სამაგიეროდ მოსახლეობას მიეწოდა ფქვილი. ელექტროენერგია არის, აღდგება ტელეგადაცემები. ამასთან ერთად, მიმდინარეობს ბრძოლა მძარცველების დასაკავებლად. დავაპატიმრეთ მძარცველების 6-კაციანი ჯგუფი, 5 გატაცებული მანქანა დავუბრუნეთ მფლობელებს. თავდაცვის სამინისტროს საჯარისო ფორმირებები თანდათან გადიან რაიონის ტერიტორიიდან. ველოდებით დამატებითი ძალების შემოყვანას. მიმდინარეობს მოსახლეობისგან იარაღის ჩამორთმევა

ფოთი. საქინფორმის კორესპონდენტთან სატელეფონო საუბარში ფოთის გამგებელმა რომან მელიამ თქვა, რომ ქალაქში ვითარება სტაბილურია. ცხვება პური. მოსახლეობას შეუფერხებლად მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია.

ქუთაისი. ქალაქში ნორმალური ვითარებაა. არის ელექტროენერგია, ცხვება პური. იმასთან დაკავშირებით, რომ ტრანსპორტის ძირითადი ნაწილი სამეგრელოს რეგიონშია გაგზავნილი, იგრძნობა ტრანსპორტის უკმარისობა.

●

„შავი ზღვის ფლოტი განაგრძობს თავის მისიას"

რუსეთის ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „ვესტის" ცნობა კვირას ფოთიდან და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდან შავი ზღვის ფლოტის გაყვანის შესახებ, არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს განაცხადა ფლოტის სარდალმა ადმირალმა ედუარდ ბალტინმა სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივნის იმ თხოვნის პასუხად, რომ კომენტარი გაეკეთებინა ამ ცნობისათვის.

საქართველოს ხელმძღვანელობასთან მიღწეულ შეთანხმებათა თანახმად, შავი ზღვის ფლოტი საქართველოს დასავლეთ რეგიონში დარჩება ვითარების სრულ სტაბილიზაციამდე, — თქვა ადმირალმა სახელმწიფო მრჩევლის ნოდარ ბროლაძის კითხვების პასუხად. — ახლა ჯერ ნაადრევია ლაპარაკი ჩვენს წასვლასა თუ ამ საქმიანობის დამთავრების ვადებზე. ჩვენ მზად ვიქნებით დავტოვოთ საქართველო, როგორც კი თქვენი ქვეყნის ოფიციალური ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჩვენ შევასრულეთ წესრიგის აღდგენისა და სიტუაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭირო პირობებისა და წანამძღვრების შექმნის ამოცანა.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ნომერში

- გზად მომავლისკენ: მიმხრობა არ ნიშნავს დამორჩილებას. 2
- სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებას მხარს უჭერს 129 პარლამენტარი. 3

თამაზ ნადარეიშვილი: აფხაზეთის რესპუბლიკა არ არსებობს

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ თამაზ ნადარეიშვილმა წერილი გაუგზავნა რუსეთის ფედერაციის ინფორმაციის მინისტრს, სრულიად რუსეთის სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობის კომპანიის თავმჯდომარეს, სრულიად რუსეთის სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობის გენერალურ დირექტორს, საინფორმაციო პროგრამების დირექტორს, ტელეკომპანია „ოსტანკინოს" საინფორმაციო-სატელევიზიო სააგენტოს დირექტორს.

წერილში ნათქვამია, რომ უკანასკნელ ხანს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, საინფორმაციო პროგრამები „ნოვოსტი", „ვესტი", განმარტავენ რა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს, იმოწმებენ აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ უზენაესი საბჭო არარსებული ორგანოა, რადგან არ არსებობს თავად აფხაზეთის რესპუბლიკა.

აფხაზეთში დისკრიმინაციული და აპარტეიდული არჩევნების მოწყობის შემდეგ უზენაეს საბჭოში შედიოდა 65 დეპუტატი. ამჟამად 31 დეპუტატმა მოიხსნა უფლებამოსილებანი და არ თვლის თავს აფხაზეთის პარლამენტის წევრად, მათ შორის ვარ მეც, რომელსაც მეკავა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა. ერთი დეპუტატი ბატონი მიხეილ ჯინჯარაძე დახვრიტეს აფხაზმა სეპარატისტებმა.

ამიტომ ეგრეთ წოდებული უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურია. რაც შეეხება თავად აფხაზეთს, მას ეწოდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და მისი სახელის გადასარქმევად საჭიროა უკვე არარსებული უზენაესი საბჭოს ხმების ორი მესამედი, ესე იგი 44 დეპუტატის ხმა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, აღნიშნავს ავტორი.

შეხვედრები რუსეთის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან

სახელმწიფოს მეთაურთან არსებული საგანგებო წესების დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე, „მხედრიონის" ხელმძღვანელი ჯაბა იოსელიანი 18 ნოემბერს დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც შეხვდა რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს სერგეი შოიგუს და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ბორის პასტუხოვს. თბილისში დაბრუნებისას საქართველოს ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ რუსეთის მხარე არ იწონებს აფხაზ სეპარატისტთა მოქმედებას, რომელმაც, კერძოდ, შეიძლება შეზღუდოს რუსეთის გასასვლელი შავ ზღვაზე. როგორც ჯაბა იოსელიანმა თქვა, ბორის პასტუხოვმა მას აცნობა, რომ რუსეთი ამზადებს დოკუმენტს, რომელიც წარედგინება აფხაზეთის ხელმძღვანელობას. დოკუმენტი შეიცავს სამპუნქტიან მოთხოვნებს: გამოაცხადოს პოლიტიკური მონანიება სოჭის შეთანხმების ჩაშლისა და აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის გამო, დააბრუნოს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა ლტოლვილი, განიარაღდეს.

შეხვედრების დროს ჯაბა იოსელიანმა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს აფხაზეთი თავის შემადგენელ ნაწილად მიაჩნია.

სეპარატისტთა ყალბი განცხადებანი ვერ მოატყუებს მსოფლიო გაერთიანებას

კვლავ მკვეთრად გამწვავდა სიტუაცია მდინარე ენგურის მიმდებარე დასავლეთ საქართველოს რაიონებში. ექსპრეზიდენტ გამსახურდიას ბანდიტური ფორმირებანი, რომლებიც არძინბას ხელდასხმით გალის რაიონში მოკალათდნენ, თავხედურ ყაჩაღურ თავდასხმებს აწყობენ სამთავრობო ჯარებზე, ძარცვავენ, ხოცავენ, სახლს უწვავენ მშვიდობიან მოქალაქეებს, აჭყავთ მძევლები.

ამრიგად, შეიქმნა 1992 წლის აგვისტოს ანალოგიური სიტუაცია, როცა აფხაზმა სეპარატისტებმა ასევე მისცეს აფხაზეთის ტერიტორია ბანდფორმირებებს და პროვოკაციულად გამოიწვიეს ომი. ახლა სურთ ახალი კონფლიქტი გააჩაღონ და ეს ბრალად დასდონ საქართველოს მთავრობას. მათ ახალი სისხლი სწყურიათ. სწორედ ეს მისწრაფება აერთიანებს არძინბა-გამსახურდიას დანაშაულებრივი ალიანსის მონაწილეებს.

სეპარატისტთა პოლიტიკურ თავხედობას მართლაც არა აქვს საზღვარი. ჯერ კიდევ გუშინ, როცა ფარისევლური ცინიზმით სოჭის შეთანხმებათა ჩაშლის მთავარ საბაბად გალში ზვიადისტთა რაზმის შესვლა გამოიყენეს, დღეს ისინი აქ იღებენ თავად გამსახურდიასა და მის შეფერხილ ლაშქარს. იღებენ და, ამასთანავე, მთელ მსოფლიოში გაჰყვირიან, საქართველო საომარი მოქმედების განახლებისათვის ემზადებაო. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ საქართველოს მთავრობა და მოსახლეობა ომისა და ყოველგვარი შეიარაღებული დაპირისპირების წინააღმდეგია.

საქართველო პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკურ მეთოდებს და ამაში რუსეთის, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის იმედი აქვს.

ვიმედოვნებთ, რომ სეპარატისტთა ყალბი განცხადებანი ამჯერად მაინც ვერ მოატყუებს მსოფლიო გაერთიანებას და ნანატრი მშვიდობა დაისადგურებს აფხაზეთის მიწა-წყალზე.

ა. კავსაძე,

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე.

განიხილეს პრობლემები

როგორც უკვე ვიუწყებოდით, თბილისში დროებით მუშაობა დაიწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ. 11 ნოემბერს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟიურაბ ერქვანია და მისი პირველი მოადგილეები რამაზ სიჭინავა და ლორიკ მარშანია შეხვდნენ 1992 წლის ოქტომბერში აფხაზეთის ტერიტორიაზე საარჩევნო ოლქებში არჩეულ საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს.

შეხვედრის დროს განიხილეს აფხაზეთის გარშემო შექმნილი ვითარება, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ლტოლვილთა შრომითი მოწყობისა და ყოფის პრობლემები. გადაწყდა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არჩეული პარლამენტარები უახლოეს ხანში გაემგზავრებიან საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში და ადგილზე გაეცნობიან იქ მყოფ ლტოლვილთა მდგომარეობას.

ისაუბრეს სამეგრელოს რეგიონში შექმნილ ვითარებაზე

12 ნოემბერს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნოს მდივანმა ბატონმა ზაზა კანდელაკმა ბრიფინგი გამართა ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის.

საუბარი შეეხო სამეგრელოს რეგიონში შექმნილ ვითარებას, საქართველოში მდგომარეობის სტაბილიზაციის მიღწევის მიზნით დასახულ ამოცანებს, აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას. ითქვა, რომ სამეგრელოს რეგიონში ვითარება დღითიდღე სტაბილური ხდება. დღეისათვის ძირითადი აქცენტი იარაღის ჩამორთმევაზეა გადატანილი. რაც შეეხება აფხაზეთის პრობლემას, ზ. კანდელაკის აზრით, იგი პოლიტიკური გზებით უნდა გადაიჭრას.

შეხვედრა იუსტიციის სამინისტროში

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში გაიმართა შეხვედრა გაეროს ლტოლვილთა კომისიის უმაღლესი კომისარიატის მისიის წევრებთან. იმსჯელეს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ასევე საქართველოს იმ მოქალაქეების უფლებების დაცვაზე, რომლებიც დღეს ლტოლვილები არიან რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი თედო ნინიძე, გაეროს ლტოლვილთა კომისიის უმაღლესი კომისარიატის მისიის მეთაური საქართველოში ტ. რაჰმანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ოთარ ზენიძე და სხვა ოფიციალური პირები.

უკეთესი ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისათვის

განცხადება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის განზრახვათა შესახებ

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ და საქართველოს რესპუბლიკამ (შემდგომ „მხარეებად" წოდებულნი):

დარწმუნებული არიან რა სახელმწიფოთა შორის თავისუფლების, დემოკრატიის, პლურალიზმისა და სოლიდარობის საერთო საკაცობრიო ფასეულობათა, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საფუძველზე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დამყარების საჭიროებაში;

კვლავ ადასტურებენ რა გაეროს წესდების მიზნებისა და პრინციპების მიმართ თავის ერთგულებას;

გადაწყვიტეს რა შექმნან საფუძველი უკეთესი ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისათვის;

აღნიშნავენ რა, თანამშრომლობისა და ურთიერთობის გზით მათი ქვეყნების ისტორიის, ცხოვრების წესის, კულტურისა და აზროვნების, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის, განათლებისა და სპორტულ მიღწევათა მაქსიმალური პოპულარიზაციისა და უკეთესი გაცნობის აუცილებლობას,

ამ დოკუმენტით განაცხადეს შემდეგი:

1. მხარეები ისწრაფვიან დაამყარონ და განავითარონ ურთიერთობები ნდობის, თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, თანაბარი უფლებების, კაცობრიობის სოლიდარობისა და ღირსებების აღიარებული პრინციპების თანახმად, აგრეთვე ადამიანის უფლებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვით.

2. მხარეები, აღიარებენ რა გაეროს წესდების მიზნებსა და პრინციპებს, კვლავ ადასტურებენ საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენებისა და მუქარის დაუშვებლობას, აგრეთვე საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გზებით გადაჭრის აუცილებლობას.

3.1. თავიანთი ორი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის ურთიერთგაცნობის გაფართოებისათვის ხელს შეუწყობენ და განავითარებენ თანამშრომლობასა და ურთიერთგაცვლას კულტურის, მეცნიერების, განათლების, ტურიზმისა და ბუნების დაცვის სფეროებში.

3.2. აქედან გამომდინარე, მხარეები ხელს შეუწყობენ უნივერსიტეტებს, უმაღლესი განათლების სხვა ინსტიტუტებს, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს, კულტურის დაწესებულებებსა და სხვა შესაბამის უწყებებს შორის პირდაპირი კავშირის დამყარებას.

3.3. ხელს შეუწყობენ ორივე მხარის მოქალაქეებს თითოეული მხარის ტერიტორიაზე მოქმედი მომზადების ცენტრების კურსებზე დასწრებას.

ორივე ქვეყნის თანამშრომლობისა და კულტურული კონტაქტების განვითარების მიზნით, ხელს შეუწყობენ აგრეთვე ახალგაზრდული ჯგუფების, სპორტული კოლექტივებისა და მეცნიერული გამოცდილების გაცვლას და ამ მიზნით სტიპენდიების გამოყოფას.

3.4. მხარეთა შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით ხელს შეუწყობენ შემდეგ საქმიანობას:

ა) სამხატვრო გამოფენების, კონცერტების მოწყობას, საოპერო და თეატრალურ წარმოდგენათა დადგმას ორივე ქვეყნის მოქალაქეთა მიერ ორივე მხარის ტერიტორიაზე;

ბ) კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების, განათლებისა და ტურიზმის თემებზე არაკომერციული ფილმების, სატელევიზიო ფილმებისა და რადიო პროგრამების გაცვლას.

4. მხარეები იწყებენ ეკონომიკური, სამრეწველო, ფინანსური, ტექნოლოგიური, სამეცნიერო და გარემოს დაცვის დარგებში ურთიერთშორის თანამშრომლობის ინტენსიფიკაციას და გაფართოებას და ასეთ თანამშრომლობას განავითარებენ რაც შეიძლება უმაღლეს დონეზე.

5.1. მხარეები ისწრაფვიან ხელი შეუწყონ მრეწველობაში თანამშრომლობას და ამ სფეროში ცოდნისა და ტექნოლოგიის ურთიერთგამოყენებას.

5.2. მხარეები შეისწავლიან პირდაპირი ინვესტირების, ერთობლივ საწარმოთა შექმნის შესაძლებლობებს მესამე ქვეყნის მონაწილეობის ჩათვლით, აგრეთვე, გაერთიანებული ძალებით ამ დარგის სპეციალისტების, მათ შორის მენეჯერების მომზადების შესაძლებლობებს.

6.1. მხარეები უპირატეს მნიშვნელობას მიანიჭებენ ენერგეტიკაში, ტრანსპორტსა და ტელეკომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობების შესწავლას და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ენერგიის დაზოგვისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტებში თანამშრომლობას.

6.2. მხარეები განავითარებენ ურთიერთშორის თანამშრომლობას გეომეცნიერების, ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ ყველა დარგში, მეცნიერებისა და ინჟინრების გაცვლის ჩათვლით.

7. მხარეები ხელს შეუწყობენ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და ტექნოლოგიის დარგში თანამშრომლობას, მეცნიერებისა და ინფორმაციის გაცვლას და ერთობლივ თანამშრომლობას ზემოაღნიშნულ და მასთან დაკავშირებულ დარგებში.

8. მხარეები ხელს შეუწყობენ ჯანდაცვასა და მედიცინის დარგში თანამშრომლობას და ამ დარგების სპეციალისტებისა და მუშაკების გაცვლას.

9.1. მხარეები ხელს შეუწყობენ მათ ქვეყნებს შორის ტურიზმის განვითარებას.

9.2. მხარეები ხელს შეუწყობენ ტურიზმის დარგში ინფორმაციის, სარეკლამო მასალების, ფილმებისა და სხვა თვალსაჩინო მასალების გაცვლას.

9.3. მხარეები ხელს შეუწყობენ ტურიზმთან დაკავშირებულ ინვესტიციებს, მათ შორის კერძო სააგენტოების მეშვეობით ერთობლივ საწარმოთა ფორმით.

10. მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას საკანონმდებლო და საკონსულო საკითხებში, თითოეული მათგანის ტერიტორიაზე მოგზაურობისა და მათი მოქალაქეებისათვის ვიზების გაცემის პროცედურის გაადვილებას, აგრეთვე ჰუმანიტარული და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას.

იბრძოლებენ ტერორიზმისა და ნარკოტიკების, იარაღისა და ხელოვნების ნიმუშების არაკანონიერი გადატანის წინააღმდეგ.

11. მხარეები ხელს შეუწყობენ კონტაქტებსა და ვიზიტებს ორივე ქვეყნის პარლამენტის წევრთა და მთავრობის ნებისმიერი დონის ოფიციალურ პირთა შორის.

12. ეს განცხადება გავლენას არ მოახდენს რომელიმე მხარის ვალდებულებებზე მესამე ქვეყნის მიმართ მათ შორის დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ნებისმიერ შეთანხმებებზე, რომლის მონაწილეც აქ წარმოდგენილი მხარეები არიან.

ზემოხსენებულის დასადასტურებლად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ეს განცხადება განზრახვათა შესახებ შეადგინეს პრიტორიაში 1998 წლის 5 ნოემბერს.

ქართული მოსახლეობის გენოციდის აღსაკვეთად!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიმართვა გაეროს გენერალურ მდივანს ბატონ ბუტროს ბუტროს გალის, იუნესკოს გენერალურ დირექტორს ბატონ ფედერიკო მაიორს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქართული მოსახლეობის უპრეცედენტო გენოციდი, ეთნიკური წმენდა დამანგრეველი აღმოჩნდა აგრეთვე იქაური სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელისთვის. ამ დაწესებულებებში, სხვებთან ერთად, მოღვაწეობდნენ ეროვნებით ქართველი მეცნიერები, რომელთა გამოკვლევები ფიზიკის, მათემატიკის, გერონტოლოგიისა და გერიატრიის, ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის, კურორტოლოგიის, სამედიცინო კიბერნეტიკის, მცენარეთა ინტროდუქციის, ისტორიის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ეკონომიკის და მეცნიერების სხვა დარგების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, აღიარებულია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. აფხაზმა სეპარატისტებმა და მათ მიერ დაქირავებულმა მკვლელებმა აფხაზეთში მოღვაწე ბევრი ქართველი მეცნიერი ამოხოცეს, სხვები კი იძულებული გახდნენ, მიეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი, ინსტიტუტები და ლაბორატორიები, რათა ეხსნათ სიცოცხლე გამხეცებული ბანდებისაგან.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ულრმეს მადლობას უძღვნის მსოფლიო საზოგადოებრიობასა და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლებმაც გულწრფელი თანაგრძნობა გამოგვიცხადეს და დახმარების ხელი გამოგვიწოდეს ამ უმძიმეს დღეებში. ამ თანადგომამ გარკვეული იმედი ჩაუსახა აფხაზეთიდან განდევნილ ყველა მოქალაქესა და, მათ შორის ქართველ მეცნიერებს, რომ ისინი კვლავ დაუბრუნდებიან თავიანთ მშობლიურ ადგილებს და გააგრძელებენ მეცნიერულ თუ პედაგოგიურ საქმიანობას. მაგრამ ამასთან დაკავშირებით, ჩვენი დიდი შეშფოთება გამოიწვია ახლახან გავრცელებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ აფხაზეთში განლაგებულ სამეცნიერო-კვლევით და უმაღლეს სასწავლებლებში, ამოხოცილ და განდევნილ ქართველ მეცნიერთა ნაცვლად, მათ ადგილებზე სამუშაოდ იწვევენ იმ უცხო ქვეყნების მოქალაქეებს, საიდანაც შემოიჭრნენ დაქირავებული მკვლელები.

უკანასკნელ დღეებში ინფორმაციის ოფიციალურმა არხებმა გაავრცელეს გუდაუთელ სეპარატისტთა განცხადება იმის თაობაზე, რომ ეს ნეოფაშისტები აფხაზეთში დაბრუნების ნებას რთავენ ქართველ ლტოლვილებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მათ წარუდგენენ დოკუმენტებს იმის დასადასტურებლად, რომ ომის დღეებში ქართველებს არ ეხმარებოდნენ და არ იბრძოდნენ გუდაუთელ სეპარატისტთა ძალების წინააღმდეგ. ამგვარად, აშკარაა, რომ ქართველთა გენოციდს, ეთნიკურ წმენდას მოჰყვება ეროვნული ნიშნით მათი შემდგომი დისკრიმინაცია.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ ქართული მოსახლეობის გენოციდის, ეთნიკური წმენდისა და დისკრიმინაციის აღსაკვეთად თქვენი ქმედითი ხელშეწყობით მიღებული იქნება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ზომები, რათა ყველა იძულებით გასახლებული პირი, მათ შორის მეცნიერებიც, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაუბრუნდნენ მშობლიურ საცხოვრებელ ადგილებს, თავიანთ ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებს.

გზად მომავლისკენ!

მიმხრობა არ ნიშნავს დამორჩილებას



არა ვინმესთვის ჭკუის დასარიგებლად, არამედ ამ საყოველთაო სიძულვილის, გაუტანლობის და სისხლიანი შეცდომების ვითარებაში, მე, ძველი საქართველოს თავშემონახული მხარის აჭარის შვილს მომინდა გავამხილო არა მარტო ჩემი, არამედ ჭეშმარიტად უმრავლეს თანაკუთხელთა დღევანდელი ხვაშიადი.

დღეს თანამეგობრობაში ჩვენი ყოფნა ერთადერთი ხსნაა, გინდაც, ხალხურად რომ ვთქვათ, ახლა ის ხავსია, რომელსაც წყალწაღებული საქართველო უნდა ჩაეჭიდოს.

ბევრი უპასუხისმგებლო და თავზეხელაღებული მოპოლიტიკოსო მჯღაბნელი თუ ამ სისხლიანი „სეირის" მაყურებელი, ამოჩემებულად გაიძახის საქართველო დანაწევრდა-დაიხლიჩაო. ამ ავისმომასწავებელ ლაყბობას და ჩვენი შინაურობიდან გაჟონილ ჩვენივე თვითმკვლელურ შხამს, ე. ი. ჩვენს დაღუპვაზე თვით მოფორიაქე ზოგ პარლამენტართა მიერ გავრცელებულ ჭორს მთელ მსოფლიოში სიამოვნებით ახმაურებს მოწინააღმდეგე მხარე.

არა, ბატონებო, არ არის ასე! მე ვგრძნობ და მჯერა, — უბედურებამ ჩვენ ვერ დაგვშალა, ტრაგედიამ ჩვენ ეროვნული ერთადყოფნის, აუცილებელი გადარჩენის საჭიროება კიდევ უფრო ღრმად დაგვანახა.

ამ უბედურებებმა ბევრს ჭკუა ასწავლა. ჩვენი დაბნეულობა, ჩვენი აშლილობა, ჩვენი ურთიერთგაუტანლობა, შური, სიძულვილი გახდა ჩვენი სახელმწიფოებრიობის ყველაზე საშიში მტერი, მაგრამ, რადგან ამას ყველანი ვხედავთ და ვაღიარებთ, ე. ი. რაღაც გვისწავლია, გამოვფხიზლებულვართ.

ნაადრევი სასოწარკვეთილებით ვიცით ხოლმე ფარ-ხმალის დაყრა და ქვეყნისათვის ყველაზე უარესის დაბედება. ეს დამღუპველი რამაა. ნუ ვიზამთ ამას. ხოლო ჩვენი ოდითგან შემოჩვეული, როგორც იტყვიან, უარყოფითი კომპლექსი რუსისა და თურქის მიმართ, დღესაც აქტიურად მუშაობს.

რუსეთ-თურქეთის წარსული პოლიტიკისაგან ყველაზე მეტად აჭარა დაზარალდა, მაგრამ ჩვენ ყველაზე მეტად თავშეკავებულნი აღმოვჩნდით დღეს. ჩვენი ქართული რეგიონი, ერთგვარად ბალანსირებულ, დროის შესაფერის, თავის წილ ურთიერთობას ინარჩუნებს ორივე ზემოხსენებულ „იმპერიასთან" და ამით მთლიან საქართველოს, მე ვიტყოდი, მაგალითს აძლევს. სკეპტიკოსებსა და უნდობელთ, მოღალატურადაც ეჩვენებოდათ ჩემი კუთხის ასეთი ნაბიჯი პირველ ხანებში, მაგრამ მოსალოდნელი კატასტროფის წინაშე ეს პოლიტიკური კუნძული ეროვნული გადარჩენის მნიშვნელოვან ასაფრენ-დასაფრენ მოედნად გამოგვადგა.

ბედისწერამ ჩვენ ეს ორი ძლიერი „ერიყლაპია" დაგვიმკვიდრა მეზობლად. საბედნიეროდ, ახლანდელ მსოფლიოს თვალწინ ეს ჩვენი, წარსულში ყოვლისმპყრობელი მეზობლები, მთლად აშკარად, ძველებურად, ველარ ბედავენ მოქცევას. ჩვენც უნდა ვისარგებლოთ ამით. როგორმე გადავდოთ ძველი წარმოდგენები გვერდზე და, არა ვაყვედროთ ძველი ცოდვები, კი არ ვაგინოთ, არამედ ლამაზი, ადამიანური კეთილგანწყობილებით და ჩვენი ნაცადი, ქართული, ჰუმანურ-კაცური ბუნების ხასიათით, ყოფილი მტერი მეგობრად გავიხადოთ.

ბოლოს და ბოლოს ვინ არის გერმანია ჩვენთვის? მართალია, საბჭოთა, ე. ი. რუსეთის ჯარში ვიყავით, მაგრამ მაინც ხომ ამოგვხოცეს გერმანელმა ფაშისტებმა ქერჩში? როგორ მოხერხდა ამის დავიწყება? როგორ ხერხდება ახლა, დღეს გერმანიასთან ამნაირი თბილი, კეთილისმყოფელი ურთიერთობა?

ხომ ვაპატიეთ? მაშ, მოვუხმოთ ჭკუას, ნებისყოფას და ვაპატიოთ სხვა ისტორიულ „მტერსაც" და მოვიხმაროთ იგი; თუ მოგვეცა ამის შესაძლებლობა, ამოვიყენოთ გვერდში, რათა გადავირჩინოთ [illegible] იფო.

ამერიკისა და ევროპის ლიდერები ამას გვირჩევენ, გვიკარნახებენ, გვთხოვენ. მაშ ვინ გვიშლის, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილებმა გვერდით მყოფი ძლიერი მეზობელი უფრო გაბედულად მივიმხროთ? ისევ ჩვენი ზოგი თავგახურებული პოლიტიკოსი, თავისი პოპულისტური თუ, მე ვიტყოდი, ჩამორჩენილი, პროვინციული ქედმაღლობით, საშველს არ გვაძლევს და ხელს უშლის თავის ხალხს, რომ ეღირსოს მშვიდობას.

ჩვენ თურქმენეთმაც კი გვაჯობა. ბუნებრივ რესურსებს არ ვგულისხმობ. არ გაიფუჭა რუსეთთან წინანდელი კავშირები. ყაზახეთი? გინდაც ჩვენი ახლო მეზობელი სომხეთი ავიღოთ. როგორ ებრძოდა ტერ-პეტროსიანი თავის დროზე რუსეთის ჰეგემონიას, მაგრამ ქვეყნის ბედისწერის აწონ-დაწონვით განწყრეტილ-გათვლილმა აიძულა, რომ ძირეულად შეეცვალა ტაქტიკა. რა გამარჯვებები აქვს, რა ერთობა და ერთიანობა, რა შრომისმოყვარეობა სუფევს, ამას მეც ვამჩნევ, აჭარის გზებზე რომ ავდივარ-ჩამოვდივარ. სომხები ახლა გოდერძის უღელტეხილით ჩადიან შავი ზღვის ქომართან. სხვათა შორის, ისინი თავიანთი უძლიერესი დიასპორის დახმარებით გოდერძის მთაში გვირაბის გაყვანაზე ოცნებობენ, მაგრამ ვიცი, ამასაც ზოგი ჩვენი „შორსმჭვრეტელი" პოლიტიკოსი ეჭვიანი უნდობლობით მოეკიდება, ისე კი, თუ ჭკუიანად მოვიხმართ, რა სიკეთის მოტანა შეუძლია, ამაზე საქმიანად ვერ ვფიქრობთ.

შორებელ ნათესავს ახლო მეზობელი გერჩიოსო, იტყვიან, ხოლო დღეს, ახლო მეზობელთან ახლო ყოფნას თანამეგობრობა ჰქვია.

იგი ახალწამოწყებულია, მოუწესრიგებელი, სტიქიურად წარმართული, მაგრამ ერთ ბედგამოვლილ თანამოაზრეთა ერთობლივი ძალისხმევით, ალბათ, ნელ-ნელა თავის ფორმას და მოსარგებ-მისაღებ შინაარსს იპოვის.

ვერ აეწყობა? ანდა, არ გვარგებს და რომელიღაც ერთს გადიქტატურებისკენ წაუბიძგებს? საბჭოთა კავშირი დაიშალა, იქიდან გამოვძვერით და „ესენგედან" ვერ გამოვალთ?

მართალი თუ გინდათ, — დავიგვიანეთ. ეს ტრაგედიებიც, ჩემი რწმენით, აგვცდებოდა (რაღაცეებს, ალბათ, ვიმეორებ, მაგრამ გამეორება ამ შემთხვევაში აუცილებელია).

აჩქარებული, უპასუხისმგებლო და უნიჭო გადაწყვეტილება მიიღო წინანდელმა ჩვენმა პარლამენტმა ე. წ. სამხრეთ ოსეთის გამო. მახსოვს როგორი ოვაცია გაუმართეს პრეზიდენტს, ვინც ერთპიროვნულად, ერთი ხელისმოსმით, გააუქმა ავტონომიური ოლქი, ერთიც არ აღმოჩნდა დარბაზში გაბედა, ეთქვა, რას გამოიწვევდა ყოველივე ეს. კი, იყო ჩვენი უკმაყოფილების, გაჯავრების მიზეზები, მაგრამ განა ჩვენისთანა ისტორიის და კულტურის პატრონებს იმგვარი წინდაუხედაობა გვეკადრებოდა?

ოსები ძირითადად ჩვენი მოკეთენი და ისტორიული თანამზრახველნი, მოსისხლე მტრებად გავიხადეთ. დიახ, იყო საბაბი წყენა-გაჯავრებისა, მაგრამ...

უნდა მოგვესვა რუსი გვერდით და ცივილიზებულად მოვრიგებულიყავით. მაგრამ რუსი უკვე გალანძღულ-გათათხული და უარყოფილი იყო ჩვენგან. რუსეთი ჩვენს ახალ-ახალ მტრებს დავუტოვეთ, მაშინ, როცა სხვაგან შეძლებული, სამედო თანამდგომი ძალა ჯერ თითქმის არავინ გვეგულებოდა.

ასეთი გაკვეთილის შემდეგ აფხაზეთის უბედურება აღარ უნდა დაგვემართოდა. თავიდანვე წაგებულ პოზიციაში აღმოვჩნდით და რაც მივიღეთ, ყველამ კარგად დავინახეთ.

თანამეგობრობა არა გაჭირვების გამო იძულებითი თავშესაფარია, არამედ, სალი აზრით თუ გავიანგარიშებთ, ბუნებრივი, ჩვენთვის რეალურად სასარგებლო და ადვილად მისადგომ-მოსახმარი ორგანიზაციაა. იქ ჭირში შეჩვეული ჩვენი ძმები არიან. უხერხულიცაა ცეცხლის მეზობლებთან ერთად არ გაიზიარო ახლა ჭირი და ლხინი, მითუმეტეს, როცა სხვა ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებებში ყოფნას ამით ხელი არ ეშლება.

ერთი სიტყვით, სახელმწიფოს ლიდერის ედუარდ შევარდნაძის საბოლოო არჩევანი, ეტყობა, ღრმა ფიქრისა და ბევრი ასპექტის გაანგარიშების შედეგია. ეს გადაწყვეტილება ადვილად მოღებული როდია. ამ კაცს დღეს ამერიკა, ევროპა ენდობა, ჩვენ ჩვენსას არ ვენდოთ?

აჭარამ, როგორც საქართველოს ღვიძლგანუყოფელმა თავისი არჩევანი იმთავითვე მოახდინა, მეთქი, ვთქვი ზემოთ. იგი, საქართველოს სახელით, რუსეთთან ყოველთვის ინარჩუნებდა ტრადიციულ კეთილ ურთიერთობას (თავისი საჭიროებებისა და შესაძლებლობის ფარგლებში).

ჩვენ სასაზღვრო კუთხე ვართ, ამიტომ ჩვენს ყოფაქცევაში ბევრი რამაა ასაწონ-გასაჭვრეტი. განა რუს მესაზღვრეებთან ჩვენი მოსახლეობის და ხელისუფლების მეგობრულ-შინაურულმა დამოკიდებულებამ არ შეინარჩუნა სახელმწიფო საზღვრის სტაბილურობა? განა ამით არ გაკეთდა ეროვნული საქმე? ანდა, როგორ, რუსი ჯარისკაცი მთა-ღრეებში, თოვლში, ათას სტიქიურ უბედურებებში, ზამთარ-ზაფხულ იდგეს, დარაჯობდეს შენს მიწა-წყალს და შენ მას დილა-საღამო აგინო?

ჩვენ, კულტურის მუშაკებსაც, ძალიან გვიჭირს ძველი კავშირების გარეშე, არა მარტო ქაღალდის გამო. დანარჩენ მსოფლიოში ჩვენი შემოქმედების გატანა-გამოჩენის გზაც დიდი ხანია რუსეთზე გადიოდა. აქ ენობრივი პრობლემაც ჯერჯერობით, მგონი, დიდ როლს თამაშობს. უცხო ენათა შორის, მხოლოდ რუსულია ჯერ ჩვენში რომ საყოველთაოდ საქმიანობს. წიგნი, პრესა ჯერ მხოლოდ ამ ენაზეა უმრავლესობისთვის მისაწვდომი.

ამ ენაზე არსებული სამეცნიერო და კულტურული ინფორმაციის წყალობით ვართ ჩვენ, ასე თუ ისე, სადღეისო საკაცობრიო განვითარების სიახლეთა კურსში.

უცებ ყოველივე ამისგან მოწყვეტა დიდ სიცარიელეს და დაბნეულობას იწვევს.

ჩვენი წიგნები ჯერ რუსულად ითარგმნებოდა, მერე ამას ეცნობოდა დასავლეთი და საუკეთესონი ვრცელდებოდა სხვა ქვეყნებშიც.

ჩვენ საქართველოს ბედისწერა გვედარდება, ჩვენი თავის რჩენისა და ჩვენი დაბზარული სახელმწიფო მთლიანობის, ჩვენი ეროვნული ერთობის გადარჩენა-გამაგრება გვაინტერესებს. ამისათვის უნდა მოვემართოთ მთლიანად ნიჭი, შეძლება. წარმოიდგინეთ. ქართველი მუსლიმანი თანამემამულეებიც, მეზობელ ქვეყანაში რომ მშვენიერ ეკონომიკურ პირობებში არიან, გვირჩევენ, ნუ ჰკარგავთ რუსეთს, ნუ ამბობთ უარს რუსეთთან სიახლოვეზეო.

ნურავის ჰგონია ისინი მემლექეთ-საქართველოზე გულგაცრუებულად ფიქრობენ.

მივემხროთ იმას, რაც დღევანდელი სინამდვილითაა ნაკარნახევი, რასაც ჩვენი ხსნა შეუძლია.

ფრიდონ ხალვაში.

ქ. ბათუმი.

ედუარდ შევარდნაძე: თავისი დადებითი როლი შეასრულა თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის შესვლის გადაწყვეტილებამ. ეს ნაბიჯი რომ არა, შესაძლებელია პრობლემა დროულად ვერ მოგვარებულიყო. მართალია, რუსეთის სამხედრო ნაწილებს არ მიუღიათ მონაწილეობა არც ერთ საბრძოლო ოპერაციაში, მაგრამ ისინი აბსოლუტური ნეიტრალიტეტის პრინციპით იცავენ რკინიგზას, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს. ამან უკვე მოიტანა თავისი შედეგი, კერძოდ, ფოთში, სადაც იდეალური წესრიგი დამყარდა და დაიწყო ნორმალური ცხოვრება.

თანამეგობრობაში შესვლას სერიოზული და დადებითი შედეგები მოჰყვა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში. ამ მხრივ მომავალში ახლებური მიდგომაა საჭირო, კერძოდ, აფხაზეთის პრობლემის გათვალისწინებით.

დასასრულის დასაწყისი

ჩვენი საბრძოლო წარუმატებლობა არძინბას ფაშისტური იდეოლოგიითა და რუსეთის იარაღით აღჭურვილ მრავალეროვან ნაძირალებთან ომში, არამც და არამც არ შეიძლება მივიჩნიოთ დამარცხებად. აფხაზური ფაშიზმი გავიდა დასასრულის სწორზე. ფინალიც ახლოსაა. მათთვის ქვემეხების დადუმება მომაკვდინებელია. დამთავრდა ხოცვისა და პათოლოგიური ძალადობის პერიოდი. იწყება პასუხისგების და განკითხვის ჟამი. ასეთია ლოგიკური დასასრული ყოველნაირი ძალადობისა. და თუ, ცივილიზებული სამყარო, მათ შორის რუსეთი და თანამეგობრობაში შემავალი სხვა ქვეყნები, რაიმე საბაბით შეაფერხებენ განკითხვის პროცესს, ამით ისინი საკუთარ თავს და ქვეყნებს გამოუტანენ სასიკვდილო განაჩენს.

საქართველოს არავითარი საბაბი არა აქვს პესიმიზმისათვის. გადავავლოთ თვალი თუნდაც უახლოეს ისტორიას. განა ჩვენი მდგომარეობა შეედრება იმ კატასტროფას, რაც დღეს აყვავებულმა გერმანიამ და იაპონიამ განიცადეს? განა დაპყრობილი არ იყო საბჭოთა კავშირის და ევროპის დიდი ნაწილი, ათეულობით ქვეყანა? საზოგადოების განვითარებას თავისი ობიექტური კანონზომიერებები აქვს და ცალკეული კატაკლიზმები ვერ ცვლიან საბოლოო შედეგს.

ჩვენ იმიტომაც არა გვაქვს საბაბი პესიმიზმისთვის, რომ საქართველომ ერთსახად დაამტკიცა: მას გმირები მხოლოდ წარსულში არ ჰყოლია. მასობრივი გმირობისა და თავგანწირვის მაგალითი ხომ უჩვენეს სოხუმის დამცველმა პირტიტველმა ბიჭებმა და მათმა ბაბუებმაც. განა ის, რაც გია ყარყარაშვილმა გააკეთა, გმირობა არ არის? ჟიული შარტავამ ეროვნულ გმირთა პანთეონში სამუდამო სასუფეველი დაიმკვიდრა, მისი ცხოვრების წესი, ქვეყნის ერთგულება და სიმართლე გზის მანათობელი იქნება თაობებისათვის. და ბოლოს, თვით ბატონ ედუარდ შევარდნაძის პირადი მაგალითი სრულიად უპრეცედენტო და გაუგონარია სახელმწიფოს მეთაურისათვის. რომ არაფერი ვთქვათ, განუწყვეტელი დაბომბვის ქვეშ, პათოლოგიური მკვლელებით გარშემორტყმულ ქალაქში ყოფნაზე, სადაც ყოველი საათი შეიძლება ყოფილიყო უკანასკნელი. მარტო ის რად ღირს, რომ მან არ ინება მოწყალება ალყიდან უსაფრთხოდ გამოყვანაზე და სიცოცხლის რისკის ფასად დაიცვა და განადიდა თავისი ქვეყნის ღირსება. ახალი საქართველო თავისი ახალი ისტორიის უბრწყინვალეს ფურცლებს წერს. სამწუხაროდ — თავისი ისტორიის სამარცხვინო ფურცლებსაც. რას ვიზამთ, ვიყავით და დღესაც ვრჩებით პოლარულ ერად.

ბოლო 2-3 წლის ამბებიდან საჭიროა სათანადო დასკვნების გაკეთება. უმთავრესი დასკვნა, ალბათ, ისაა, რომ უპირველეს ყოვლისა, ჩვენ საკუთარი თავის იმედით უნდა ვიყოთ, არა თუ ამჟამად, ამ მძიმე დროს, არამედ მაშინაც კი, როდესაც მთელს ქვეყანაში აღდგება საქართველოს იურისდიქცია და დაისადგურებს საყოველთაო მშვიდობა. საქართველომ უნდა იცხოვროს მამა-პაპათა ტრადიციული ცხოვრებით — ერთ ხელში გუთანი, მეორეში — ხმალი. ჩვენ მცირე ერი ვართ და ცხოვრების ის წესი, რომელიც სხვებისთვის ნორმალურია, ჩვენთვის დაუშვებელი განცხრომა და ფუფუნებაა. საქართველოს თითოეული მოქალაქე ერთდროულად უნდა იყოს მუშა და მებრძოლი, მეცნიერი და მებრძოლი, სპორტსმენი და მებრძოლი, გლეხი და მებრძოლი, კომერსანტი და მებრძოლი. ამას მოითხოვს ერის გადარჩენის აუცილებლობა. ამის მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ „სინდის-ნამუსის" და „პატრიოტიზმის" იმედით, ეს უნდა იყოს განმტკიცებული მკაცრი კანონმდებლობით. ასე უნდა ვიცხოვროთ მანამდე, სანამ ჩვენი პლანეტა არ გახდება იმდენად სრულყოფილი, რომ გამოირიცხოს აფხაზური ფაშიზმის მსგავსი მოვლენების რეციდივი.

მთელმა საქართველომ, მისმა ყოველმა მოქალაქემ, კაცმა და ქალმა, ქართველმა და არაქართველმა, ოფიციალურად, რიტუალურად (როგორც ამას აკეთებენ ახალგაზრდა ჯარისკაცები) უნდა დავდოთ ფიცი, რომ არც ერთი თაობა არ დათმობს საქართველოს არც ერთ გოჯ მიწას. ეს უნდა იყოს საქართველოს მოქალაქეთა მარადიული და ურყევი პოზიცია, ეროვნული იდეა. უნდა შეიქმნას ფიცის ტექსტი და იგი ოფიციალურად უნდა მიიღოს საქართველოს ყოველმა მოქალაქემ სრულწლოვანების დადგომის დღეს.

ჩვენ არა მხოლოდ პოლარული, არამედ იმპულსური ერიც ვართ. აღტყინების სიმძაფრეს საკმაოდ ჩქარა ცვლის სიმშვიდე. ვშიშობ, დასავლეთის ქვეყნების და რუსეთის მთავრობათა კეთილმოსურნე, სამართლიანი განცხადებების და ჰუმანიტარული დახმარების მორევში არ შენელდეს ჩვენი უპირველესი მიზნის, აფხაზეთის ოკუპაციის პერიოდის გაუმართლებელი გახანგრძლივება, მისგან გამომდინარე უმძიმესი ეკონომიკური და ფსიქოლოგიური შედეგებით. ამ მიზნით აფხაზეთის თემა (ბუნებრივია, ცხინვალისაც) ჩვენი ყოველდღიურობის, ყოფის მუდმივი თანამგზავრი უნდა გახდეს.

აქტიური სამშვიდობო ღონისძიებები უნდა შევათავსოთ რეგულარული ჯარის შექმნისა და სათანადო შეიარაღების უზრუნველყოფის ღონისძიებებთან. ამისთვის სახელმწიფო ორგანიზაციების ყოველი მოსამსახურის ხელფასიდან, ასევე, კერძო სექტორის შემოსავლიდან უნდა დაწესდეს სათანადო გადასახადები. ხალხი ამას უსათუოდ გაგებით შეხვდება. უნდა აღსდგეს აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ყველა სამთავრობო და სამეურნეო ორგანიზაციათა ფუნქციონირება განდევნილი ხელისუფლების სტატუსით. უნდა აღსდგეს აფხაზეთში ომამდე გამომავალი ყველა გაზეთი, რადიო, ტელეგადაცემები რუსულ და ქართულ ენებზე — რისთვისაც მათ უნდა გამოეყოთ სათანადო საეთერო დრო და სახსრები.

რა არის ყოველივე ეს, ფანატიზმი? ისტერია? ახირება? არავითარ შემთხვევაში! ჩვენ უნდა გადავიდეთ პასიური გულისტკივილიდან აქტიურ ქმედებებზე. თავდაცვიდან შეტევაზე და, რაც მთავარია, სტიქიური, ემოციური საწყისები მკაცრად რეგლამენტირებულმა, მეთოდურმა და მიზანდასახულმა ღონისძიებებმა უნდა შეცვალოს.

ჩვენი სამხედრო წარუმატებლობა, მრავალ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთან ერთად, იმანაც განაპირობა, რომ პირწმინდად წავაგეთ ინფორმაციული და იდეოლოგიური ომი. ამ თვალსაზრისით ისეთივე მოუმზადებელი აღმოვჩნდით, როგორც სამხედრო თვალსაზრისით. რუსმა რეაქციონერებმა და აფხაზმა ფაშისტებმა თავის სამსახურში ჩააყენეს არა მხოლოდ პროფესიონალი მკვლელები, არამედ საინფორმაცია-იდეოლოგიური ომის გაწაფული დემაგოგები, სიცრუის ვირტუოზები. გავიხსენოთ, სამხედრო ოპერაციებთან როგორ უნისონში მოქმედებდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როგორ განაწყობდნენ ჩვენს საწინააღმდეგოდ მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს „ოსტანკინო" და რუსეთის სხვა საინფორმაციო საშუალებები, რომელთაც საკმაოდ კარგად უბამდა მხარს ჩვენი ოპოზიციური პრესაც. ისინი ჩვენი მოწინააღმდეგეების აშკარა წარუმატებლობის დროსაც ოპტიმიზმითა და რიხით აწვდიდნენ მასალებს, რათა არ დაეფრთხოთ „ბოევიკთა" ის პოტენციალური კადრები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოშვებული აფხაზეთში.

ჩვენ გვყავს მოაზროვნე, განათლებული, ნიჭიერი ჟურნალისტები, პოლიტოლოგები, ფსიქოლოგები, საინფორმაციო-იდეოლოგიური ბრძოლისთვის საჭირო კადრები, მაგრამ ეს საკადრო პოტენციალი არავითარ ძალას არ წარმოადგენს, თუკი ორგანიზაციულად არ იქნება გაერთიანებული სპეციალურ სახელმწიფო სტრუქტურაში, სამსახურში, რომელიც შეკრებს და უპასუხოდ არ დატოვებს საქართველოსთან დაკავშირებულ არც ერთ დეზინფორმაციას. ამ სამსახურმა უნდა შეიმუშაოს და ოპერატიულად უნდა გაგზავნოს ყველა საჭირო მისამართზე ინფორმაციები, ფოტო და ვიდეო მასალა, ქრონიკალური ფილმები. ეს სახელმწიფო სტრუქტურა უნდა ამზადებდეს რეკომენდაციებს ხელისუფლებისთვის.

ერაყის ომის პერიოდში მე აშშ-ში გახლდით და საშუალება მქონდა თვალი მედევნებინა ამ ომისათვის პირველი წუთებიდან ომის დასასრულამდე. მთელი სამხედრო ოპერაციის რეპორტაჟი მიმდინარეობდა ზუსტად ისე, როგორც ეს ხდება ჩვენთან სტადიონებიდან სპორტული პაექრობის დროს. ომის დაწყების მეორე დღეს ჩვენს საუნივერსიტეტო ქალაქს ველარ იცნობდით. ყოველ ოჯახს გამოფენილი ჰქონდა ამერიკის დროშები, გირლიანდები, გვირგვინები. მესამე, მეოთხე დღეს ქალაქში გამოფენილი იყო თანამოქალაქე ჯარისკაცთა ფოტოები. შენობათა სახურავებზე გაჩნდა მოძრავი შუქრეკლამები: „მე შენ მიყვარხარ, ამერიკელო ჯარისკაცო", „თქვენ შემოგცქერით ამერიკა" და ა. შ. მე მოწმე გავხდი თუ როგორ ამუშავდა ზურგი, თუ როგორი სითბო და სიყვარული უჩვენეს სახლში დარჩენილებმა ომში წასულს. ყოველივე ამას უყურებდა სანგარში თუ ტანკში მჯდომი ამერიკელი ჯარისკაცი და ეს საყოველთაო ყურადღება აათკეცებდა მათ სიმამაცეს.

ახლა გავიხსენოთ რას და როგორ წერდნენ ჩვენი გაზეთები ომის დროს, რას გადასცემდა ტელევიზია, როგორ ვერ დავძლიეთ ომის პერიოდშიც კი პარტიული ამბიციები, რამდენი დაუმსახურებელი საყვედური შეხვდათ ჩვენ მებრძოლებს და სხვა. ამას იმიტომ კი არ აღვნიშნავ, რომ გაიოლებული წარმოდგენა მაქვს ჟურნალისტის პროფესიაზე, არამედ იმიტომ, რომ შევახსენო ყველას: სწორად წარმართული იდეოლოგიური მუშაობა, როგორც ომის, ისევე მშვიდობის პერიოდში, სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი ფაქტორია და ამ საქმისათვის დახარჯული ყოველი მანეთი ასჯერ და ათასჯერ ანაზღაურებს თავის თავს. ტყვია სპობს ერთს, ხოლო სიტყვა სპობს ანუ კუპრავს ათასობით ადამიანს.

საქართველოს გზა დამოუკიდებლობისაკენ მნიშვნელოვნად განსხვავებულია სსრკ-ის ყოფილი სხვა რესპუბლიკების გზისაგან. ქართველთა ცნობიერებისათვის 9 აპრილი იყო საბედისწერო. თუ კი 9 აპრილამდე რადიკალთა და შეურიგებელთა რიგები, შესაძლოა, რამდენიმე ათეულს ითვლიდა, ამ ტრაგედიის შემდეგ ქართველთა დიდი ნაწილი, ნებით თუ უნებლიეთ, რადიკალთა ბანაკში აღმოჩნდა, რამაც არსებითი როლი ითამაშა მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე. ბუნებრივია, 9 აპრილმა თავისი დაღი დაამჩნია საქართველო-რუსეთის ურთიერთობას. რუსეთის რეაქციული ძალების შემდგომმა აქციებმა საქართველოს მიმართ კიდევ უფრო გააღრმავა უნდობლობა. სწორედ ამ მკვეთრი უნდობლობის, აფხაზეთის ტრაგედიის ფაქტის, დასავლეთ საქართველოს მოვლენების და სრული ეკონომიკური კრახის პირობებში, მთელი სიგრძე-სიგანით დადგა საკითხი თანამეგობრობაში შესვლისა. ზოგი პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოების ფართო ფენების აზრი მკვეთრად განსხვავებულია. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რატომ უჭერს მხარს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თანამეგობრობაში შესვლას. ცხადია, კარგი ცხოვრების გამო არა. ხალხი დაიღალა, ხალხი შიმშილს შესცქერის თვალებში, ხალხმა საქართველოს გაერთიანების იმედი დაკარგა და ამ უზენაესი მიზნის მისაღწევად არა თუ თანამეგობრობაში შესვლას, არამედ სსრკ-ის აღდგენასაც კი მოაწერს ხელს. შეურიგებელი ოპოზიციური პარტიების რეაქცია სრულიად გასაგებია. მაგრამ ჩემში გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიციამ, პარტიისა, რომელიც გამორჩეულია რეალიზმით, პოლიტიკური სიტუაციის ზუსტი შეგრძნებითა და გონივრული კომპრომისებით. ასევე მოულოდნელი იყო ლიბერალთა ლიდერის ბ-ნ მ. ნანეიშვილის პოზიცია, რომელმაც თანამეგობრობაში ვერაფერი პოზიტიური ვერ დაინახა, როგორ ვერ ესადაგება მისი პოზიცია და ტონი „ლიბერალს". სრულიად უსამართლოა ოპოზიციის მტკიცება იმის შესახებ, რომ ბ-ნ ე. შევარდნაძეს შეჰყავს საქართველო თანამეგობრობაში. შეიძლება საქართველოს „სნგ"-ში შესვლის ფაქტში თავისთავად არაფერი იყოს ცუდი, მაგრამ ვინც ამას ამბობს, ამ ფაქტში, სწორედ ნეგატიურს გულისხმობს. თანამეგობრობაში საქართველოს შესვლა შეამზადა შეურიგებელმა ოპოზიციამ და გამსახურდიამ. თითოეულმა ჩვენგანმა, განა შეიძლება, ხალხი, რომელსაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა სურს, ერთმანეთს ებრძოდეს და ასე ბარბაროსულად ანადგურებდეს საკუთარ ქვეყანას. ჩვენ არ აღმოგვაჩნდა დამოუკიდებლობისათვის საჭირო თვისებათა ზღვრული მინიმუმიც კი. რაც შეეხება ბ-ნ ე. შევარდნაძეს, ბედის ირონიაა, რომ მას ვინმესგან დაცვა სჭირდება. თავისი მაღალი კარიერის დამთავრების შემდეგ, მას ჰქონდა მორალური უფლება მშვიდი ცხოვრებისა, მაგრამ საკუთარი ერისადმი პასუხისმგებლობის გამო ჩაიგდო თავი ამ ჯოჯოხეთში.

ჩემი ღრმა რწმენით, თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების დამოუკიდებლობის ხარისხი განსხვავებული იქნება და ამას ვერც ერთი ქვეყანა კონტროლს ვერ დაუწესებს. ყოველ მათგანს რეალურად ექნება ის დამოუკიდებლობა, რასაც იმსახურებს, რის საშუალებასაც ეკონომიკა და შინა პოლიტიკური პირობები მისცემს. ბლოკებსა თუ ალიანსში გაერთიანება სრულებითაც არ ნიშნავს დამოუკიდებლობის დაკარგვას. ასე რომ იყოს, თანამედროვე უძლიერესი ქვეყნები ათეულობით და ასეულობით ორგანიზაციებში არ გაერთიანდებოდნენ. მე წინააღმდეგი ვარ დამოუკიდებლობის იდეის გაფეტიშების და ილუზიური თავისუფლებისა, როდესაც შესაძლებლობები დიდად სცილდება იდეალს. დიდი უზნეობაა ნაკლებად გაცნობიერებულ მასაზე თავისუფლების იდეით მანიპულირება, ვისგანაც უნდა ზღუდებოდეს ეს.

რამდენიმე კითხვა მიტრიალებს თავში, რომელიც ასევე არაორაზროვნად გამოხატავს ჩემს პოზიციას:

რატომ შეელევიან ასე იოლად გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები თავიანთ დამოუკიდებლობას, მათ შორის ისეთებიც, რომელთა ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი ერთი ასად აღემატება საქართველოსას?

შეიძლება კი იყოს ნორმალური და გულწრფელი გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების დამოკიდებულება ჩვენდამი, ჩვენი განსაკუთრებული პოზიციისა და სტატუსის შემთხვევაში. რას მოუტანს ეს საქართველოს მატერიალურად, მორალურად?

აზრი იმის შესახებ, თითქოს დასავლეთი ნაკლებად ენერგიულად ეწინააღმდეგება ახალი იმპერიის ჩამოყალიბების პროცესს, აბსურდულად მიმაჩნია. დღეს მთელი მსოფლიოს უპირველესი ამოცანაა რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა. მეტ-ნაკლებად სტაბილური რუსეთის პირობებში, არც დასავლეთი და არც თანამეგობრობის ქვეყნები არ დაუშვებენ „ახალი იმპერიის" ჩამოყალიბებას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, ხელს არ აძლევს თვით რუსეთს, „უფროსი ძმის" 70-წლიანი გამოცდილების შემდეგ. ახლა მაინც ხომ ნათელია თუ ვინ ვის კმაყოფაზე იყო.

და ბოლოს, საზოგადოების განვითარების რთულ პერიოდში, ძირითადი ტენდენციების საწინააღმდეგოდ სვლა მეტად სახიფათოა.

ვახტანგ დავითაია,

არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ-ის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი.

ჰონორარი გადაირიცხოს თავდაცვის ფონდში.

საქართველოს პარლამენტის წევრთა განცხადება

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრები, მხარს ვუჭერთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ედუარდ შევარდნაძის გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის შესახებ.

პარლამენტის წევრები:
აბალაკი გივი გიორგის ძე
აბაშიძე ასლან იბრაიმის ძე
აბესაძე ინგუშა ხოტინეს ძე
აბულაძე თენგიზ ევგენის ძე
ადამია ჯემალ მამიას ძე
ადამია რევაზ შოთას ძე
ალექსანიანი ფერდინანდ არმენაკის ძე
ამირეჯიბი მზეჭაბუკ (ჭაბუა) ირაკლის ძე
ანდრიაძე ირაკლი ონისიმეს ძე
არველაძე ტახირ ვლადიმერის ძე
ახმეტელი გიორგი (ცეზარი) გიორგის ძე
აჩიაშვილი სიმონ (ჯემალი) დავითის ძე
ბალაშვილი ვლადიმერ ორდას ძე
ბარამიძე გიორგი აივენგოს ძე
ბარამიძე მალხაზ ბენედიქტეს ძე
ბაშალეიშვილი დავით როინის ძე
ბახტაძე დემურ მიხეილის ძე
ბერიანიძე შალვა ზაქარიას ძე
ბერიძე ალექსანდრე მიხეილის ძე
ბერიძე ჯემალ ლევანის ძე
ბრეგაძე აკაკი ალექსანდრეს ძე
ბუაჩიძე თენგიზ პავლეს ძე
გაზდელიანი თენგიზ კორნელის ძე
გამყრელიძე თამაზ ვალერიანის ძე
გაჩეჩილაძე გიორგი ამბერკის ძე
გელაძე ავთანდილ შოთას ძე
გელაძე ვაჟა ნიკოლოზის ძე
გეწაძე გურამ იასონის ძე
გვერდწითელი მიხეილ პავლეს ძე
გიგინეიშვილი მანანა ივანეს ასული
გოგუაძე ვახტანგ ვლასის ძე
გოდერძიშვილი ბელა გიორგის ძე
გორგოძე ჯემალ ვალერიანის ძე
გულუა ბაკურ დავითის ძე
დოლიძე როსტომ ხასანის ძე
დოლმაზაშვილი ავთანდილ რაჟინის ძე
ელოშვილი ომარ ილიას ძე
ენუქიძე ზაზა მიხეილის ძე
ვარდოსანიძე ლევან გრიგოლის ძე
ველიჯანაშვილი გოდერძი რაფიელის ძე
ზუხბაია ოთარ გიორგის ძე
თავართქილაძე ანზორ ილარიონის ძე
თირქია ლედი თარაშის ასული
თუმანიშვილი გრიგოლ დიმიტრის ძე
იაკობაძე ვაჟა ტაშტანის ძე
იორამაშვილი გივი მიხეილის ძე
იოსელიანი ჯაბა კონსტანტინეს ძე
კალანდაძე თენგიზ გრიგოლის ძე
კალაძე რობიზონ არჩევანის ძე
კალანდია გენო ვლადიმერის ძე
კეკელია შალვა ნიკონდრის ძე
კვარაცხელია ვალერი დავითის ძე
კიკნაძე გიორგი (გოგი) ვარლამის ძე
კირთაძე ნესტან ლევანის ასული
კიტოვანი თენგიზ კალისტრატეს ძე
კობაიძე ალექსი ლევანის ძე
კობერიძე ნუგზარ ნიკოლოზის ძე
კოპალეიშვილი თეიმურაზ დავითის ძე
კოხია ოთარი გრიგოლის ძე
კოხრეიძე ნოდარ ლუკას ძე
კურტანიძე ჯუმბერ გიორგის ძე
ლეკიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე
ლითანიშვილი ოთარ ანტონის ძე
ლიპარტელიანი როინ ვასილის ძე
ლობჟანიძე გივი შალვას ძე
ლომინაძე გივი ნიკოლოზის ძე
ლომსაძე ბორის არჩილის ძე
ლორთქიფანიძე გრიგოლ (გიგა) დავითის ძე
ლორთქიფანიძე ვიქტორ მიხეილის ძე
ლორთქიფანიძე როზა ოთარის ასული
მამალაძე ლევან ლეგთრის ძე
მამრაძე პეტრე გრიგოლის ძე
მამულია გურამ სამსონის ძე
მანძულაშვილი მიხეილ შალვას ძე
მარშანია ადა ლორიკის ასული
მახალდიანი სოსო თენგიზის ძე
მგელიაშვილი თეიმურაზ (ჯუბო) ივანეს ძე
მეგუთნიშვილი სოსო არჩილის ძე
მიმინოშვილი რომან სევერიანის ძე
მუჩაიძე გურამ ოთარის ძე
მჭედლიძე მიხეილ ლევანის ძე
ნადარეიშვილი თამაზ ვლადიმერის ძე
ნათელაშვილი შალვა ამბროსის ძე
ნაკაშიძე ბადრი ჯემალის ძე
ნოღაიდელი ზურაბ თემურის ძე
ოთარაშვილი ვაჟა გიორგის ძე
ორჯონიკიძე იზა არჩილის ასული
პატიაშვილი ჯუმბერ ილიას ძე
ჟვანია ზურაბ ბესარიონის ძე
ჟორჟოლიანი გია გიორგის ძე
რივკინი მარკი ალექსანდრეს ძე
რჩეულიშვილი ვახტანგ შალვას ძე
რუხაძე სერგო სამსონის ძე
სნხჩიანი ჟორა ზარზანდის ძე
უსტიაშვილი გურამ ხარიტონის ძე
ფენდერავა არნოლდ ერასტის ძე
ქარცივაძე ნოდარ ხემდის ძე
ქაშაკაშვილი ამირან ნიკოლოზის ძე
ქაჯაია მერაბ მუსას ძე
ქველაძე ზურაბ ილიას ძე
ქვლივიძე გელა პეტრეს ძე
ღარიბაშვილი ქართლოს დავითის ძე
ღოღობერიძე ლანა ლევანის ასული
ყოლბაია ვახტანგ გაბრიელის ძე
შაიშმელაშვილი გიორგი მიხეილის ძე
შენგელაია ელდარ ნიკოლოზის ძე
ჩარკვიანი ჯანსუღ ავდილის ძე
ჩარქსელიანი ანზორ კონსტანტინეს ძე
ჩიტლოვი დიმიტრი სამსონის ძე
ჩხენკელი მიხეილ მაქსიმეს ძე
ცივაძე დავით გიორგის ძე
ცინცაძე თამაზ ისმაილის ძე
ციციშვილი ჯიმშერ ვახტანგის ძე
ციხელაშვილი ტარიელ ივანეს ძე
ციხისთავი გია სოლომონის ძე
წერეთელი ზურაბ კონსტანტინეს ძე
წითლანაძე გიორგი იაკობის ძე
წიკლაური მევლუდ შაქროს ძე
წოწონავა ანზორ დავითის ძე
ჭეიშვილი რევაზ (რეზო) ბენედიქტეს ძე
ჭელიძე ივერი რაჟდენის ძე
ხარატიშვილი იოსებ ალექსის ძე
ხაჭაპურიძე ვაჟა სოლომონის ძე
ხვედელიძე გივი ანდროს ძე
ხიზანიშვილი რამაზ რობიზონის ძე
ხუციშვილი ომარ იურის ძე
ჯაფარიძე რევაზ ანდრიას ძე
ჯეირანაშვილი ნიაზ ალექსანდრეს ძე
ჯიბლაძე ალექსანდრე ჰასანის ძე

ერი და მწერლობა

დავბრუნდებით აფხაზეთში!

შეხვედრა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობასთან

საქართველოს მწერალთა სახლში 10 ნოემბერს გაიმართა ქართველ მწერალთა შეხვედრა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობასთან.

იმ დღეს მწერლებს ესტუმრნენ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ლორიკ მარშანია და რამაზ სიჭინავა, აფხაზეთის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეთერ ასტემიროვა, აფხაზეთის განათლების მინისტრი ჯანო ჯანელიძე.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ.

დღეს, — თქვა გურამ ფანჯიკიძემ, — საქართველოს მწერალთა კავშირში ძალზე მნიშვნელოვანი და საგულისხმო მოვლენა ხდება. ეს არ არის რიგითი შეხვედრა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან.- დღეს ჩვენ უნდა გამოვიმუშავოთ ჩვენი ერთობლივი საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი თუ ორიენტირები, რაც ხელს შეუწყობს დიადი მიზნის მიღწევას — აფხაზეთში — საქართველოს ამ უძველეს და მრავალჭირნახად კუთხეში ქართველი კაცის დაბრუნებას, საყოველთაო მშვიდობის დამყარებას და ამ მხარის საერთო ქართულ პროცესში ჩართვას...

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა ზურაბ ერქვანიამ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი შეხვედრისათვის.

— თითოეულ ჩვენგანს — თქვა ზურაბ ერქვანიამ, — აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობას, კარგად ესმის ქართული მწერლობის ადგილი და მნიშვნელობა, მისი შემოქმედების უდიდესი ძალა ხალხის ფართო მასებზე და მტკიცედ სწამს, რომ სწორედ თქვენი ორგანიზაცია იქცევა იმ უძლიერეს ფორპოსტად, იმ იდეოლოგიურ თუ საინფორმაციო ცენტრად, რომელიც დარაზმავს ქართველ ერს აფხაზეთის დასაბრუნებლად, რომელიც მთელ მსოფლიოს ამცნობს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის ნამდვილ მიზეზებს და ნიღაბს ჩამოხდის მის ორგანიზატორებს, XX საუკუნის მიწურულის კაციჭამია ვანდალებს, რომლებსაც არად უღირთ თვით საკუთარი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი, რომლებიც საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად არაფერს ერიდებიან და ასეულ ათასობით ადამიანს მიერეკებიან სასაკლაოზე...

შეხვედრაზე გამოვიდნენ რეზო ჭეიშვილი, რევაზ მიშველაძე, რევაზ ჯაფარიძე, გენო კალანდია, არჩილ სულაკაური, ტარიელ ჭანტურია, ეთერ ასტემიროვა, ლორიკ მარშანია, რამაზ სიჭინავა, გურამ გვერდწითელი, ჯანო ჯანელიძე, ვახტანგ ხარჩილავა, გრიგოლ აბაშიძე.

გამომსვლელები დიდი გულისტკივილით საუბრობდნენ აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაზე. ითქვა, რომ დღემდე საბოლოო შეფასება არ მისცემია აფხაზურ მოვლენებს, რომ საქართველოს პარლამენტმა პოლიტიკური შეფასება უნდა მისცეს მას, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა შეიქმნას იდეოლოგიის მძლავრი საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც წარმართავდა ამ მხრივ მიმართულ საქმიანობას. საქართველოს რადიომ, ტელევიზიამ, პრესის ორგანოებმა სპეციალური რუბრიკები უნდა შემოიღონ, უფრო მეტიც, საქართველოს ტელევიზიამ დროის გარკვეულ მონაკვეთში ადგილი უნდა დაუთმოს აფხაზეთის ტელევიზიის გადაცემებს. საქართველოს ინტელიგენციამ ღირსეულად უნდა უპასუხოს სეპარატისტთა მიერ შეთითხნილ პასკვილებს.

შეხვედრის დასასრულს გურამ ფანჯიკიძემ სტუმრებს ამცნო, თუ რა დახმარებას უწევს მწერალთა კავშირი აფხაზეთის სამწერლო ორგანიზაციას, მის ლიტერატურულ ორგანოებს, მადლობა გადაუხადა მათ მობრძანებისათვის.

ზაალ გოტკოველი.

სარედაქციო ფოსტიდან

ქვეყანა დაიღალა

უკვე რამდენი ღამეა თეთრად თენდება, თვალს რული არ ეკარება. ანდა როგორ დაგეძინება, როცა ამდენ უბედურებას უყურებ, თანაც სადმე, სხვაგან კი არა, საკუთარ ბედკრულ სამშობლოში. თითქოს აფხაზეთის ტრაგედია არ კმაროდა, ისე მოულოდნელად და მუხანათურად მოევლინა საქართველოს მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა პრეზიდენტყოფილის სახით. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მისი გამოისობით ზურგი აქცია აფხაზეთში მიმდინარე სამამულო ომს და, ჩვენდა საუბედუროდ, ის მეორეხარისხოვან საქმეთა რანგში დატოვა. ამას ისეთი კატასტროფული შედეგები მოჰყვა, რომლის გამოსწორებას, ალბათ, რამდენიმე თაობის სიცოცხლე არ ეყოფა.

იქნებ მაშინ შეცდნენ, როცა ბუნკერში მომწყვდეულ პარანოიკს უვნებლად გაქცევის საშუალება მისცეს, თუმცა მრავლად იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რადიკალური ზომების გატარებას მოითხოვდნენ. მაგრამ, ზოგჯერ სრულიად უადგილო ქართულმა სულგრძელობამ და მიმტევებლობამ არ გადაადგმევინათ ეს ნაბიჯი. მათ შორის იყო ჯაბა იოსელიანიც. მაშინ მას მტკიცედ სჯეროდა, რომ სწორად მოიქცა და რამდენად ბანალურადაც არ უნდა ჟღერდეს, ახლაც მიაჩნია, რომ „შეიძლება ძაღლს პატივს არ სცემდე, მაგრამ ანგარიში უნდა გაუწიო მის პატრონს". ჯაბა იოსელიანს, როგორც ადრეული ასაკიდან შემოქმედებით ლიტერატურის ნაზიარებ პირს, სხვანაირად არ შეეძლო მოქცეოდა დიდი კონსტანტინეს ვაჟს.

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და დიდი კაცის შვილობაც პრივილეგიად ნურავის მიაჩნია.

უკვე განთავისუფლდა დასავლეთი საქართველოს მრავალი რაიონი, აღდგება წესრიგი. ალბათ, პრეზიდენტყოფილს და მის ამალასაც მიუზღავენ საკადრისს.

მხოლოდ რამდენიმე საათს გრძელდებოდა მოსკოვში თეთრი სახლის შტურმი. მოფაშისტო კომუნისტების უდღეური გამოსვლა ცოტა ხანში იქნა ჩახშობილი, რასაც მოიერიშეთაგან რამდენიმე მეომრის სიცოცხლე შეეწირა.

რუსეთის აღფრთოვანებულმა პრეზიდენტმა მეორე დღესვე მწკრივში მდგომ მოიერიშეებს თავი მუხლებამდე დაუკრა და მთელი რუსი ხალხის სახელით მადლობა უძღვნა დემოკრატიის დაცვისათვის. ამავე დროს თითქმის ყოველი მათგანი დაჯილდოვდა სამთავრობო მედლებითა და ორდენებით, მატერიალური წახალისება დიდი ციფრით გამოიხატა. ამ ამბების ფონზე ჯაბა იოსელიანს შეეცოდა საკუთარი თავიც და მხედრიონელებიც, რომლებიც უკვე ოთხი წელია, განუწყვეტელ ომებში არიან. მათ საქართველოს რომელ კუთხეში არ უბრძოლიათ და სად არ დაუღვრიათ თავიანთი სისხლი. ყოველთვის იქ იყვნენ, სადაც ქართულ საქმეს უჭირდა. ამ ბრძოლებში ერთმანეთზე საუკეთესო თითქმის ხუთასი ბიჭი დაკარგეს. რამდენი სამუდამოდ დასნეულდა და დახეიბრდა, ამას ვინ მოთვლის, მაგრამ მადლობა კი არა, უბრალოდ, ყოველთვის იმის ნატვრაში არიან, საბრძოლველად მიმავალთ გუნება არ მოუწამლონ მოუზომავი სიტყვითა თუ საქციელით.

ზუგდიდიღა ჰქონდათ დარჩენილი საყრდენად პრეზიდენტყოფილის მომხრეებს. ამბავი მოუტანეს ბატონ ჯაბას, წინააღმდეგობას შევწყვეტთო. თქვენს პირს შაქარი, ოღონდაც! ჩვენს ბიჭებს სისხლი არასოდეს სწყურებიათ. მას ვერავინ დააყვედრებს უდანაშაულო ჟურნალისტებისა და მოსალაპარაკებლად მისული გენერლების დაცხრილვას. მას მხოლოდ მშვიდობა და ამდენი გაჭირვებით წელში გაწყვეტილი, დაქანცული, განადგურების პირას მისული ქვეყნის გადარჩენა სურს.

დამთავრდება ომი. ბოლოს და ბოლოს მიწყნარდება საბრძოლო ყიჟინა და მაშინ „მხედრიონი" დაუბრუნდება თავის ძირითად სამამულო სამსახურის ფუნქციებს და ყველა დარწმუნებული იყოს, რომ მისი საქმიანობა მშვიდობიანობის პირობებშიც მეტად სასარგებლო და საჭირო იქნება ჩვენი ქვეყნისათვის.

ჯემალ ნოზაძე.

საქართველო-რუსეთი:

იქნებ არ იყო გვიან?

ანუ, თუ როგორ არაერთხელ გვირჩევდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია

„რუსეთთან მჭიდრო, კეთილმეზობლური, პარიტეტულ საწყისებზე დაფუძნებული ურთიერთობა ჩვენი წრფელი სურვილია. ამიტომ მივიჩნევთ შესაძლებლად და მისაღებად საბჭოთა კავშირის გარდაქმნას დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობად".

საქართველოს სდპ პრინციპების პროგრამიდან. 1990 წლის თებერვალი.

„ჩვენ მეტი წინდახედულება და მეტი სიფრთხილე გვმართებს. „მრგვალი მაგიდისა" და ეროვნული კონგრესის ზოგიერთი ლიდერის თვითდაჯერებული განცხადება, ცენტრის აბუჩად აგდება, რომელიც შიშს ჰგვრის მთელ მსოფლიოს, კრემლთან კონფრონტაცია კარგს არაფერს მოგვიტანს".

გაზეთი „ერთობა" №3. 1991 წლის იანვარი.

„ყველაზე უმტკივნეულოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელია საბჭოთა იმპერიული კავშირის ერთა თანამეგობრობად გარდაქმნის გზით. შეცდომაა ამ საქმისაგან განზე დგომა და იზოლირებულად იმპერიული უღლისაგან თავის დაღწევის მცდელობა. ცხადზე უცხადესია, რომ საბჭოთა იმპერიის დაშლა გარდაუვალია. ამიტომ არ იქნებოდა სწორი გაგვესწრო ამ ობიექტური პროცესისათვის. ყველაზე უპრიანია მოვიპოვოთ იმ უფლებათა მაქსიმუმი, რომლის მოპოვებასაც ამ ეტაპზე შევძლებთ".

გაზეთი „ერთობა" №7. 1991 წლის სექტემბერი.

„საქართველო მრავალი ქვეყნის ინტერესების სფეროში შედის. მათგან მხოლოდ ჩრდილოეთისა და სამხრეთის მეზობლებს აქვთ აქ განსაკუთრებული ინტერესები. ამ ქვეყნების ინტრესების ბალანსირების გზით საქართველოს ბუფერად გადაქცევის პერსპექტივა ნაკლებად რეალურია, რადგან ძალთა თანაფარდობა ჩრდილოეთის მეზობლის — რუსეთის მხარეზეა. ამიტომ ევროპაზე, კერძოდ გერმანიაზე სტრატეგიული ორიენტაციის პირობებში საქართველომ პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობას უნდა მიანიჭოს".

გ.მუჩაიძის სტატიიდან. „საქართველოს რესპუბლიკა". 1992 წლის 15 ივლისი.

„ჩვენი ქვეყანა რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროში შედის. ამ ინტერესებს ანგარიში უნდა გაეწიოს და ისინი უნდა დავაკმაყოფილოთ, რა თქმა უნდა, თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით. ამავე დროს რუსეთმაც ანგარიში უნდა გაუწიოს და დააკმაყოფილოს ქართველი ერის ნაციონალური ინტერესები. მხოლოდ ასე შეიძლება საქართველო-რუსეთის ცივილიზებული სისტემის შექმნა".

საქართველოს სდპ წინასაარჩევნო განცხადება. 1992 წლის აგვისტო.

„რუსეთთან კონფრონტაცია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს ძირს გამოუთხრის".

სსდპ პოლიტიკური საბჭოს განცხადებიდან. 1992 წლის 21 ოქტომბერი.

„მე მინდა საჯაროდ განვაცხადო სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია. რაც უფრო მეტ კონფრონტაციაში შევალთ რუსეთთან და, კერძოდ, მის ჯართან, მით უფრო მეტი ახალგაზრდები დაგველუპება აფხაზეთში. მე მოვუწოდებ პარლამენტსა და ქართველ ერს შესაბამისი დასკვნის გაკეთებას".

პარლამენტში გ.მუჩაიძის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან. 1992 წლის ნოემბერი.

„ალბათ, გახსოვთ, სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთი სხდომა, სადაც წყდებოდა აფხაზეთში ჯარების შეყვანის საკითხი, იქ განცხადდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია, რომ აფხაზეთში უნდა შევიყვანოთ შერეული ძალები. აფხაზეთში უნდა შევიყვანოთ ქართული ჯარები რუსულ ჯარებთან ერთად. სამწუხაროდ, სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობამ არ გაიზიარა ჩვენი პოზიცია, რამაც გამოიწვია, ჩვენი შეფასებით, მძიმე კონფლიქტი".

პარლამენტში გ.მუჩაიძის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან. 1992 წლის 10 ნოემბერი.

„მე მინდა დღეს გავიმეორო სიტყვები, რომლებიც სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ვთქვით. პოლიტიკოსს შეიძლება ძალიან უყვარდეს თავისი სამშობლო, მაგრამ იმის გამო, რომ არარეალისტი იყოს, სამშობლოს მტერზე მეტი ზიანი მოუტანოს. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ სად არის აფხაზური პრობლემის გასაღები... აქ ითქვა, რომ რუსეთი დგას აფხაზური პრობლემის უკან. თუმცა ჩვენ იურიდიული მტკიცებები არა გვაქვს, ვერც ერთ სასამართლოში ვერ მოვუგებთ რუსეთს და ვერ დავამტკიცებთ, რომ ის აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ ომს. მაგრამ ასეა, ამიტომ უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რას ფიქრობს რუსეთი. ამის გარეშე მოვწყდებით რეალობას. დღეს მიდის მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების შესახებ. რუსეთს სურს, რომ ამ ხელშეკრულებაში აისახოს მისი სტრატეგიული ინტერესების დაკმაყოფილება. ეს სურვილი აქვს და ნათლად ვლინდება. გვაქვს ჩვენ კი ძალა მისი ინტერესები არ დავაკმაყოფილოთ? ნუ მოვიტყუებთ თავს, საქართველოს, უჯარო, უიარაღო და ეკონომიკურად დანგრეულ ქვეყანას ასეთი ძალა არ გააჩნია. ამიტომ ამ ეტაპზე ჩვენ გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგვიწევს. თუ არ წავალთ, ჩვენი ასეთი სიტყვიერი შემართება არ გვიშველის და შეიძლება სოხუმიც დაიკარგოს. ამიტომ ჩვენი აზრით უნდა დაჩქარდეს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადება და თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით, ალბათ, გარკვეულ წილად უნდა დავაკმაყოფილოთ რუსეთის სტრატეგიული ინტერესები".

პარლამენტში გ. მუჩაიძის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან. 17.11.1992

მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს „ალიონში" საქართველოს ტელევიზიით გადაიცა პარლამენტის წევრის, დემოკრატიული პარტიისაგან ბ-ნ ქართლოს ღარიბაშვილის გამოსვლა, სადაც იგი წარმოდგენილი იქნა როგორც დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე.

ბ-ნი ქ. ღარიბაშვილი დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის და საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატების" თავმჯდომარედ წარმოდგენილი იქნა სხვა გამოსვლებშიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტი აცხადებს:

დემოკრატიული პარტიის განცხადება

1. 1992 წლის 4 დეკემბერს დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის მიერ ქ. ღარიბაშვილი განთავისუფლებული იქნა პარტიის თავმჯდომარეობიდან.

2. 1993 წლის 24 ივლისის დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატების" ერთობლივი დადგენილებით ბ-ნი ქართლოს ღარიბაშვილი განთავისუფლებული იქნა დემოკრატიული პარტიის ლიდერობიდან, ამავე დადგენილებით საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატების" თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ-ნი გელა ქვლივიძე.

3. 1993 წლის 26 ოქტომბერს დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის მიერ ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ბატონი გელა ქვლივიძე.

4. დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტი და მისი საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატები" მიმართავენ ყველა სახის საინფორმაციო საშუალებებს, რომ ცნობად მიიღონ ზემოაღნიშნული ფაქტები.

ამასთან დემოკრატიული პარტია არ იღებს, და ვერც აიღებს, პასუხისმგებლობას ქ.ღარიბაშვილის გაუწონასწორებელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ქმედებებზე და კატეგორიულად ემიჯნება მას.

ეროვნული კომიტეტის
სახელით
გურამ
უსტიაშვილი
თანათავმჯდომარე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1993 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: დიფერენციალური განტოლებები; მათემატიკური ფიზიკა; ალბათობათა თეორია და მათემატიკური სტატისტიკა; მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორია; თეორიული ფიზიკა.

წარმოებას მოუწყვეტლად: მათემატიკური ანალიზი; მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორია.

ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი

წარმოებას მოუწყვეტლად: გამოთვლითი მათემატიკა; გამოთვლითი მანქანების, კომპლექსების, სისტემებისა და ქსელების მათემატიკური და პროგრამული უზრუნველყოფა.

ფიზიკის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: რადიოფიზიკა; ბირთვისა და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა; ბიოფიზიკა.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია

წარმოებისაგან მოწყვეტით: თეორიული ფიზიკა

წარმოებას მოუწყვეტლად: გეოფიზიკა

ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიური ინსტიტუტი

წარმოებას მოუწყვეტლად: პეტროლოგია, მინერალოგია, გეოქიმია

მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: გეოფიზიკა

ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: გეომორფოლოგია და პალეოგეოგრაფია, კარტოგრაფია.

წარმოებას მოუწყვეტლად: მეტეოროლოგია, აგრომეტეოროლოგია, კლიმატოლოგია

მართვის სისტემების ინსტიტუტი

წარმოებას მოუწყვეტლად: მართვა ტექნიკურ სისტემებში და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია.

კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები და ნაგებობები; სამშენებლო მასალები და ნაკეთობები; სამშენებლო მექანიკა.

წარმოებას მოუწყვეტლად: სამშენებლო კონსტრუქციები, შენობები და ნაგებობები.

გ. წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: მიწისქვეშა და საშახტე მშენებლობა.

წარმოებას მოუწყვეტლად: სამთო წარმოების ტექნოლოგია; სამთო მანქანები; ელექტრომექანიკური მოწყობილობა და ავტომატიზაცია

მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: მანქანების დინამიკა და სიმტკიცე; თბური ძრავები; მობილური მანქანები.

წარმოებას მოუწყვეტლივ: თბური ძრავები.

პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

წარმოებას მოუწყვეტლად: ორგანული ქიმია.

რ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: ელექტროქიმია; ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია.

ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: ფარმაცევტული ქიმია და ფარმაკოგნოზია

ს. დურმიშიძის სახ. მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: ბიოქიმია; ბიოტექნოლოგია

წარმოებას მოუწყვეტლად: ბიოტექნოლოგია

ზოოლოგიის ინსტიტუტი

წარმოებას მოუწყვეტლად: ზოოლოგია.

ლ. დავითაშვილის სახ. პალეობიოლოგიის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: გეოლოგია, ჰიდროლოგია, პალეონტოლოგია

ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია; ბიოქიმია

ა. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: ჰისტოლოგია, ციტოლოგია და ემბრიოლოგია.

წარმოებას მოუწყვეტლად: ადამიანის ანატომია; პათოლოგიური ანატომია; ჰისტოლოგია, ციტოლოგია და ემბრიოლოგია.

სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: ალერგოლოგია და იმუნოლოგია.

რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი

წარმოებისაგან მოწყვეტით და წარმოებას მოუწყვეტლად: რადიობიოლოგია

ცენტრალური ბოტანიკური ბაღი

წარმოებას მოუწყვეტლად: მიკოლოგია

წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია და სარწყავი მიწათმოქმედება; ჰიდროელექტროსადგურები, ჰიდროენერგეტიკული დანადგარები, ჰიდრავლიკა და საინჟინრო ჰიდროლოგია.

ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: საქართველოს ისტორია; საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია; ეთნოგრაფია (ორი ადგილი, აქედან ერთი ადგილი მიზნობრივია ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის)

პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: პოლიტიკური ეკონომია (ეკონომიკსი), ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; მაკროეკონომიკა; ეკონომეტრიკა; ბუნებათსარგებლობისა და გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკა.

წარმოებას მოუწყვეტლად: მაკროეკონომიკა; ეკონომეტრიკა; ბუნებათსარგებლობისა და გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკა.

დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: დემოგრაფია.

სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და ისტორია; პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია; სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინოლოგია; შრომა-გასწორებითი სამართალი; კრიმინალისტიკა.

წარმოებას მოუწყვეტლად: სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინოლოგია; შრომა-გასწორებითი სამართალი; კრიმინალისტიკა.

ფილოსოფიის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: პრაქტიკული ფილოსოფია (ესთეტიკა); ფილოსოფიის ისტორია

დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: ზოგადი ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიის ისტორია; სოციალური ფსიქოლოგია; პედაგოგიური და ასაკობრივი ფსიქოლოგია

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: ქართული ხელოვნების ისტორია (ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესისათვის)

არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: ქართველური ენები

წარმოებას მოუწყვეტლად; ქართველური ენები (მიზნობრივი ქუთაისის კომპლექსური სამეცნიერო ცენტრისათვის).

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: ქართული ლიტერატურა (სამი ადგილი. აქედან ერთი ადგილი მიზნობრივია იუნესკოს საქართველოს საბჭოს უცხოეთში ქართველ მოღვაწეთა გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფირმა „გრაალისათვის); ტექსტოლოგია.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი

წარმოებისაგან მოწყვეტით: ქართული ლიტერატურა

გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

წარმოებას მოუწყვეტლად: მსოფლიო ისტორია

ასპირანტურაში წარმოებას მოწყვეტით მიიღებიან 35, ხოლო მოუწყვეტლივ 45 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და არჩეული სპეციალობით სულ ცოტა 2 წლის მუშაობის სტაჟი. ვინც 1993 წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, მისაღებ გამოცდებზე დაიშვება უმაღლესი სასწავლებლის (ან შესაბამისი ფაკულტეტის) რეკომენდაციით.

ასპირანტურაში შემსვლელმა განცხადება უნდა შეიტანოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში მიმღები კომისიისა და შესაბამისი ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს კადრების აღრიცხვის ფურცელი ფოტოსურათით (4x6), ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის და მისი დანართის პირი (დამოწმებული), შრომის წიგნაკის ამონაწერი (დამოწმებული), გამოქვეყნებული ნაშრომების სია, რეცენზია გამოქვეყნებულ შრომაზე, ვისაც გამოქვეყნებული ნაშრომები არა აქვს, წარმოადგენს მოხსენებას (რეფერატს) სპეციალურ საგანში.

ასპირანტურაში მიმღები კომისიის სახელზე შემოსატან საბუთებს უნდა ახლდეს მომავალი მეცნიერი ხელმძღვანელის რეცენზია (ნაშრომზე ან რეფერატზე ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული), უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს (ან ფაკულტეტის) საასპირანტო რეკომენდაცია, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმით), მომავალი მეცნიერი ხელმძღვანელის თანხმობა.

ასპირანტურაში შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში და ერთ-ერთ უცხო ენაში. მიზნობრივ ასპირანტურაში რეკომენდირებული პირები კომისიის თავმჯდომარისა და ინსტიტუტის დირექტორის სახელზე წარმოადგენენ გამომგზავნი დაწესებულების შუამდგომლობას. ყველა საბუთი უნდა შედგეს ორ ცალად.

საბუთები მიიღება 25 ნოემბრამდე. მისაღები გამოცდები სავარაუდოა მოეწყოს 6 დეკემბრიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მეცნიერებათა აკადემიის კადრების განყოფილებაში. მისამართი: 380008, თბილისი, რუსთაველის პრ. № 52. ტელ. 93-84-89.

ინფორმაცია

„იბერიის“ ლენტიდან

თბილისი. 12 ნოემბერს, თბილისში, ბარნოვის ქუჩის № 116-ში მოქალაქემ აღმოაჩინა საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში ჩადებული ასაფეთქებლად ჩართული ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი. საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს მიერ გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად მოხერხდა მისი გაუვნებელყოფა. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ როგორ მოხვდა ნაღმი სახლის სარდაფში.

ოზურგეთი. ჩვენს კორესპონდენტს ოზურგეთის რაიონის გამგებლის მოადგილემ ავთო ღლონტმა განუცხადა, რომ დღეიდან მუშაობას შეწყვეტს პურის ქარხანა. ოზურგეთის რაიონში პრაქტიკულად არ არის არანაირი საწვავი, რაიონს არ მიეწოდება ელექტროენერგია. თუ ზუგდიდიდან ერთ ვაგონ მაზუთს მაინც არ მიაწვდიან, პურის ქარხანა მუშაობას ვერ განაახლებს.

ახალქალაქი. ბოლო ხანებში საგრძნობლად დაქვეითდა ახალქალაქის რაიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მართალია, ქალაქ ახალქალაქში პური მაღაზიებში სიით გაიცემა, მაგრამ, ზოგიერთი გამყიდველის არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო, პურის ნაწილი მაღაზიიდან გამოაქვთ და საკოლმეურნეო ბაზარზე რუსულ მანეთზე ჰყიდიან. რეგულარული ხასიათი მიიღო ელექტროენერგიის გამორთვამ, რის შედეგადაც ფერხდება პურის საცხობების, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ობიექტების მუშაობა. მკვეთრად აცივების გამო მძიმე მდგომარეობაშია სკოლები, სკოლამდელი და სამედიცინო დაწესებულებები, რაიონის მოსახლეობა. რაიონში ვაჭრობა, მცირე გამონაკლისის გარდა, წარმოებს რუსულ ფულზე. გაძნელებულია სატრანსპორტო მიმოსვლა დედაქალაქამდე. ერთადერთ საავტობუსო მარშრუტზე „ნინოწმინდა-თბილისი“ არც თბილისის და არც ახალქალაქის ავტოსადგურებში არ იყიდება ბილეთები. მძღოლები ყოველ მგზავრს ახდევინებენ 3.500 რუსულ მანეთს ან 100.000-მდე კუპონს. რაიონული გამგეობის და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელთა უმწეობა, გადაჭრან აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, იწვევს იმას, რომ ბოლო ხანებში ხშირად გაისმის მოთხოვნა რაიონის ხელმძღვანელობის შეცვლისა და ელემენტარული სოციალურ-საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესახებ.

ქუთაისი. ქუთაისში ფუნქციონირება დაიწყო საბაჟო დეპარტამენტის ქუთაისის განყოფილებამ. განყოფილების გამგედ დანიშნულია თეიმურაზ ჩიჩილაშვილი, რომელიც სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისის უშიშროების განყოფილებაში და ქალაქის მერის მრჩევლად.

სენაკი. სენაკის რაიონის გამგეობიდან გვაცნობეს, რომ რაიონში 21.000 ლტოლვილია აფხაზეთის რეგიონიდან. ჭირს მათი დაბინავება და საკვებით უზრუნველყოფა. კრიმინოგენური სიტუაცია რაიონში კვლავ მწვავეა. მოძრაობს საქალაქთაშორისო ტრანსპორტი. რაიონში იგრძნობა საწვავის მწვავე დეფიციტი.

საქინფორმის ლენტიდან

კონფედერატები ცხინვალში თათბირობენ

იტარ-ტასის კორესპონდენტის ცნობით, 14 ნოემბერს ცხინვალში დამთავრდა კავკასიის ხალხთა კონფედერაციის სხდომა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოში მიმდინარე სამხედრო მოვლენები უაღრესად ნეგატიურ გავლენას ახდენს რეგიონის ვითარებაზე. მშვიდობისა და თანხმობის გზების ძიებას მიეძღვნება, სხდომის მონაწილეთა აზრით, კავკასიის ხალხთა ყრილობა, რომელიც ნოემბრის დამლევს გაიმართება გროზნოსა და მახაჩყალაში.

ამავე დღეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარე ლუდვიგ ჩიბიროვი შეხვდა კონფედერაციის სხდომის მონაწილეებს. მან, კერძოდ, თქვა, რომ სამხრეთ ოსეთში განიხილავენ კონსტიტუციის პროექტს, რომელიც რესპუბლიკის სუვერენიტეტს აცხადებს.

„ტიტების“ სიმღერა



დიდ საკონცერტო დარბაზში 6, 7, 8 და 9 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ბავშვთა ფედერაციის ჯაზისა და ესტრადის თეატრ „ტიტების“ შოუ-წარმოდგენა — „მღერიან ჰოლივუდის ვარსკვლავები“, რომლის შემოსავალი ჩაირიცხა ლტოლვილთა დახმარების ფონდში.

სცენაზე ძირითადად 18 ვირტუოზმა, სხვადასხვა კონკურსების, მათ შორის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა, პოლონეთში მშვიდობის კონგრესის მონაწილე გოგონებმა იმღერეს და იცეკვეს.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ლალი მახნიაშვილი, მუსიკალური ხელმძღვანელი ზურაბ მახნიაშვილი, პლასტიკის პედაგოგი გოგი ოსეფაშვილი. კონცერტების ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ბავშვთა ფედერაციის ხელმძღვანელმა ბატონმა კობა გილაშვილმა.

მზია დეკანოიძე.

სურათზე: მღერიან ანსამბლ „ტიტების“ წევრები.

სიმონ ქილაძის ფოტო.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ეხმარებიან ლტოლვილებს

ქუთაისი. ქუთაისში ჩამოვიდა წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ლეოპოლდო პრინჩიპე და ფედერაციის წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოში აშილ დე გიში. მათ ქუთაისსა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს რეგიონში დაბინავებული ლტოლვილებისთვის ჩამოიტანეს ჰუმანიტარული დახმარება — 226 ათასი საოჯახო ამანათი და ოთხი ათასი შეკვრა ბავშვის საკვები.

კახეთის რეგიონი პარალიზებულია

თელავი. კახეთის ტერიტორიაზე მთელი კვირაა არ არის ელექტროენერგია. დარღვეულია ელექტროენერგიის მიწოდების მარეგულირებელი გრაფიკი, რის გამოც, პარალიზებულია ქალაქი თელავი და კახეთის ყველა მიმდებარე რაიონი. არ არის გაზი. საწვავის და ელექტროენერგიის უქონლობის გამო, არ მუშაობს პურის საცხობები. კაჭრეთის წისქვილკომბინატის გაჩერების გამო, კახეთის არც ერთ რაიონს არ მიეწოდება ფქვილი.

ცნობები ზესტაფონიდან

კრიმინალური ქრონიკა

ბოლო ხანებში, ზესტაფონის ადმინისტრაციული /ორგანოების გააქტიურების შედეგად, აუვნილია ბოროტმოქმედთა შვიდი ჯგუფი, სამართალში მიცემულია 21 კაცი.

18 ოქტომბრიდან აქ შემოღებულია კომენდანტის საათი, მთელს რაიონში მიმდინარეობს პატრულირება, მოწყობილია პიკეტები.

ამოღებულია 8 ავტომატური იარაღი, უამრავი ხელყუმბარა და ავტომატის ვაზნა, ჩამორთმეულია გადაჭრილი თოფები, თვითნაკეთი პისტოლეტები...

ყაჩაღი ხელყუმბარით

ზესტაფონში, გურამიშვილის ქუჩაზე, გიორგი სამხარაძის ოჯახს თავს დაესხა ბოროტმოქმედთა ჯგუფი ქუთაისელი მამუკა შალამბერიძის მეთაურობით.

მათ ოჯახის წევრები თოკებით შეკოჭეს, პირი ლეიკოპლასტირით აუკრეს, გადაჭრილი თოფებისა და ხელყუმბარების მუქარით ფული და ძვირფასი ნივთები მოსთხოვეს. ეს ცნობა მოვიდა პოლიციის რაიონულ განყოფილებაში, საიდანაც სასწრაფოდ გავიდა ოპერატიული ჯგუფი. მ. შალამბერიძე ხაფანგში მოექცა და ხელყუმბარის მუქარით თავის დაღწევა სცადა.

სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა, მაიორმა დ. ლომინაშვილმა სასწრაფოდ გააუვნებლა ხელყუმბარა, დამნაშავე კი პოლიციაში მიაბრძანა. დადგენილია სხვა დამნაშავენიც, რომლებმაც გაქცევით უშველეს თავს.

ფულის გამოძალვის მიზნით

წყალტუბოს რაიონის მკვიდრმა, ქსნის კოლონიიდან გამოქცეულმა დავით კობახიძემ ზესტაფონში ჩამოაყალიბა დამნაშავეთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ გია მახათაძე, თემურ ხომასურიძე და არჩილ ვარდოსანიძე.

მათ ექვს პიროვნებას წაართვეს საკუთარი ავტომანქანა და გამოსძალეს საკმაოდ დიდი თანხა. მეშვიდე ავტომანქანის გატაცება კი ველარ მოასწრეს. პოლიციის მუშაკებმა აღკვეთეს ამ ჯგუფის პარპაში.

დაუპატიჟებელი სტუმრები

სოფელ ძირულაში მომრავლდა მოქალაქეთა ოჯახებზე ყაჩაღური თავდასხმა. რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გატარებული ერთობლივი საგამოძიებო ოპერატიული ღონისძიებების შედეგად აქ დააკავეს დამნაშავეთა ჯგუფი დ. მიქაბერიძის, გ. გურეშიძის და ზ. ნებიერიძის შემადგენლობით, რომლებმაც აღიარეს ჩადენილი დანაშაული.

გათავხედდნენ

დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები ისე გათავხედდნენ, რომ სოფელ დილიკაურში პოლიციის უბნის ინსპექტორსაც კი წაართვეს კუთვნილი ავტომანქანა და „მაკაროვის“ სისტემის ტაბელური იარაღი.

ესეც არ იკმარეს და ზესტაფონში ჩამოსულებმა მაშინვე მოიწადინეს სხვა მანქანის წაყვანაც. ბოროტმოქმედებს დადევნებულმა უბნის ინსპექტორმა სასწრაფოდ შეატყობინა პოლიციას მომხდარი ფაქტის შესახებ. შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელმაც ავტომობილების გამტაცებლებს სწორედ მორიგი „ოპერაციის“ დროს მიუსწრო. იგრძნეს რა მოსალოდნელი საშიშროება, ავისმქმნელებმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს პოლიციის მუშაკებს.

არც პოლიციელები დარჩნენ ვალში, რის შედეგად ბოროტმოქმედი, ტყიბულელი დ. თაბუკაშვილი ადგილზე გარდაიცვალა, რ. ქაშაკაშვილი მძიმედ დაიჭრა, ხოლო დაჭრილი გ. გავაშელაშვილი მიიმალა.

დამნაშავეებისაგან ამოღებულია ავტომატები, ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარები, ავტომატის ვაზნები.

სხვა სათამაშო ვერ ნახეს

ფეროშენადნობთა ქარხნის საერთო საცხოვრებელში მთვრალი ხვიჩა კაპანაძე ხელში ათამაშებდა ხელყუმბარას, რომელიც შემთხვევით გაიხსნა.

მან იგრძნო მოსალოდნელი საშიშროება და კარისაკენ გაემართა. წინ თავისი ამხანაგი ამირან აბულაძე შეეჩეხა, ხელყუმბარა აფეთქდა და ორივე ახალგაზრდა ადგილზე გარდაიცვალა.

ჰენრი შარიქაძე.

უზენაესი სასამართლოს დარბაზიდან

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ჯ. ცისკარაშვილის თავმჯდომარეობით, მსაჯულების გ. მირიანაშვილის და დ. აბრამიშვილის შემადგენლობით, პროკურორ კ. სონიშვილის მონაწილეობით ქ. გურჯაანში გამსვლელ სესიაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე თეიმურაზ გივის ძე ბოკუჩავას ბრალდების გამო.

სოფელ შაშიანში მცხოვრებმა, ადრე სხვადასხვა დანაშაულისათვის ორჯერ ნასამართლევმა თეიმურაზ გივის ძე ბოკუჩავამ მოკლა თანამეინახე, აზარტული თამაშებისათვის ადრე ნასამართლევი ელგუჯა ნიკოლოზის ძე ზარიძე. ამ უკანასკნელმა აზარტული თამაშის დროს თეიმურაზ ბოკუჩავას მოუგო 280000 მანეთი, მაგრამ მისგან ეს თანხა ვერ მიიღო. მათ შორის სწორედ ამის გამო წარმოშობილი დავა გახდა მკვლელობის მიზეზი.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თეიმურაზ ბოკუჩავას ჩადენილი დანაშაულისათვის მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით. აქედან 5 წელი მსჯავრდებულმა საპყრობილეში უნდა მოიხადოს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრესცენტრი.

სანთელი

უკვდავება

ძაძებმოსილი მანდილოსანი დაჩოქილი მიწას ეფერება. ცოტა მოშორებით ღრმად ჩაფიქრებული და წარბშეკრული ბრგე ვაჟკაცი დგას. ორივეს ერთი საფიქრალი აქვს — შვილის უდროოდ დაღუპვით გამოწვეული. მძიმე ტრავმას, დარდსა და ნაღველს ორივე უთქმელად ინაწილებს.

მწუხრის ჟამია. მათ შორიახლო გამვლელი წამიერად ჩერდება, წარწერას ჩუმად თვალს ავლებს და ადგილის ბინადართ დუმილით თაყვანს სცემს. მოკრძალება და უსიტყვო პატივისცემა იგრძნობა, რადგან ეს ადგილი ამიერიდან ქართველთა და აფხაზთა წმიდათაწმიდა საფიცრად იქცა.

აქ ბაბუა და შვილიშვილი განისვენებენ:

ბაბუა — საქვეყნოდ ცნობილი დასტაქარი, პროფესორი **სოკრატ არშბა** და

შვილიშვილი — სამშობლოსათვის თავდადებული გმირი **გიორგი მიროტაძე.**

ორი მამულიშვილი ერთმანეთის პირდაპირ წვანან სასუფეველში და... თითქოს შვილიშვილი ბრძენ და გამოცდილ ბაბუას შეშფოთებული უყვება სამშობლოში დატრიალებულ მოძმეთა და ძმათამკვლელი ომების ამბებს.

ბაბუას თვალწინ იზრდებოდა გიორგი. მან აგრძნობინა შვილიშვილის პირველი სიტკბო და სიყვარული.

დედა აფხაზი — მარინე არშბა, მამა ქართველი — ლევან მიროტაძე. აქ ამ ოჯახში, ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს გიორგის მოძმეთა პატივისცემა და სიყვარული. ძლიერ ფესვებზე იყო შექმნილი ოჯახი. არშბების, თევდორაძეების და მიროტაძეების ჯიშმა და ჯილაგმა სამშობლოს სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და ხალხის სამსახური ცხოვრების კანონად დააწესა. ამ წესზე იზრდებოდა ბედნიერი და გალაღებული გიორგი და ამავე გზას მიუყვებოდა ცხოვრებაში.

„წარმოსადეგი, მთასავით მაღალი, ჭკვიანი თვალებით, დინჯი, ძალზე თბილი და ყურადღებიანი, რაინდული სულის ვაჟკაცი ბავშვივით წმინდა და გულუბრყვილო იყო. შემოვიდოდა აუდიტორიაში და თითქოს შევივსებოდით, გვეხალისებოდით. რაღაც ახალს გვეტყოდა. თავისი წარმომავლობით არასოდეს ამაყობდა. თავის თავისადმი ძალზე მომთხოვნი იყო და გამრჯეც“ — ასე ახასიათებენ გიორგის ნაცნობ-მეგობრები, პედაგოგები და თანაკურსელები.

ბავშვობიდანვე მისდევდა სპორტს. იგი შემდეგ უნივერსიტეტის ნაკრებ გუნდშიც თამაშობდა კალათბურთს. ზაფხული დადგებოდა და, მეგობრებთან ერთად სამშობლოს მთა-ბარს ფეხით დალაშქრავდა ხოლმე. ასეთი იყო იგი, შემართული და ვაჟკაცური სულის ჭაბუკი. წლეულს გიორგი მეხუთე კურსის სტუდენტი უნდა ყოფილიყო...

სამედიცინო უნივერსიტეტმა ახლახანს გიორგი მიროტაძის სახელის უკვდავსაყოფად, მისი სახელობის სტიპენდია დააწესა, ხოლო მთათუშეთში მეგობრებმა იმ მთაზე, რომელიც მას ძალზე მოსწონდა და უყვარდა, მემორიალი დადგეს.

როცა სამშობლოს გაუჭირდა, ასეთ ყმაწვილს რა გააჩერებდა?! ატყდა 1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის ავადსახსენებელი ძმათა სისხლისღვრა და იმავე წუთს გიორგი „წითელ ჯვარში“ ჩაეწერა. „ჩემთვის დაპირისპირებული მხარე არ არსებობს. ჩემი მოვალეობაა — ადამიანის სიცოცხლე ვიხსნა“ — ამბობდა იგი და ტყვიების ზუზუნში ორივე მხრიდან გამოჰყავდა დაჭრილები. ქართველთა და აფხაზთა ურთიერთდაპირისპირებამ და ბრძოლამ ხომ სულ შეაშფოთა იგი. სიცხიანი ლოგინში ვერ ჩერდებოდა. ადგილს ვერ პოულობდა. ბოლოს აფხაზეთში გადაწყვიტა წასვლა. არც დედის ვედრებამ, არც ბებიების მუდარამ, არც ერთადერთი დის თხოვნამ არ გაჭრა. მამა ხმას ვერ იღებდა, გულში გიორგის ეთანხმებოდა. „ამას როგორ მეუბნებით, ორივე ბებიები ექიმები ხართ. ბაბუა ცოცხალი რომ იყოს, ის გამიგებდა... მე ხომ ტყვიას არ ვისვრი... ბიჭებს უჭირთ, ჩემი იქ ყოფნა აუცილებელია, ძმებს შუა ჩავდგები და შევარიგებ...“ — თქვა და წავიდა.

გიორგის ძალზე სჭიროდა გია ყარყარაშვილისა და თბილისის ზღვაზე, „თეთრი არწივის“ ბიჭებს დაუკავშირდა. 16 ნოემბერს 22 წელი გაასრულა გიორგიმ, 19 ნოემბერს კი „თეთრი არწივის“ ბიჭებთან სანინსტრუქტორად დაიწყო მუშაობა. მალე ისინი აფხაზეთში წავიდნენ. აფხაზეთიდან თბილისში ოჯახს ტელეფონით ხშირად უკავშირდებოდა. 25 დეკემბერს შობა დღის მილოცვაც კი არ დაივიწყა. „კარგად ვარ, არაფერი მიჭირს“. — ასე ამიმედებდა მათ. გაჭირვებით კი როგორ არ უჭირდათ. სურსათ-სანოვაგის, ტყვია-წამლის, ტანსაცმლის ნაკლებობას განიცდიდნენ, მეომრებს პაპიროსიც კი აკლდათ. გიორგი ძალზე წუხდა. დედით აფხაზს თავი მასპინძლად მოჩქონდა... „თეთრი არწივი“ გულრიფშში იდგა. არშბების აგარაკიც სწორედ იქ იყო და ბიძამისი — დედის ძმა ზაურ (მამული) არშბაც იქვე ცხოვრობდა.

— „მამული, მასპინძელი ჩვენა ვართ და ბიჭებს როგორმე ჩვენ უნდა ვუშველოთ“ — ეუბნებოდა ბიძამისს და მეომრებს შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა.

ბიჭები სოფელ ათარასთან დაზვერვაზე წავიდნენ. 28 დეკემბერს გიორგიმ მათ სურსათი და წამლები აუტანა. იმ ღამეს სიწყნარე იყო. თოვდა. დილით მოწინააღმდეგემ შეტევა წამოიწყო. ბიჭებმა შეტევას შეტევითვე უპასუხეს. „ნუ გეშინიათ ბიჭებო, მე ჩავდგები თქვენ შორის, რომ გაიგებენ ვინცა ვარ, გამიგებენ, სროლას შეწყვეტენ და გადავრჩებით“ — გაამხნევა გიორგიმ ბიჭები და წამოიმართა. იმავ წუთს ტყვიის ზუზუნი გაისმა. გიორგი მიწაზე დაეცა. სისხლით შეიღება თოვლით დაფარული მიწა... გახელდნენ ბიჭები მოყვრად შემართულ ვაჟკაცს ტყვია როგორ შეაგებესო; მოწინააღმდეგეს მზაკვრობა არ აპატიეს და სამაგიერო აზღვევინეს.

მშველელი არსაიდან ჩანდა. ბიჭი სისხლიდან იცლებოდა. ტკივილებს წარბშეუხრელად იტანდა. მეომრებმა გიორგი სახელდახელოდ გაკეთებულ საკაცეზე დააწვინეს და მუხლამდე გაუვალ თოვლში, ტყე-ტყე მოკლე გზით ატარეს. როგორც იქნა ჰოსპიტალის ზღურბლს მიაღწიეს. მაგრამ სისხლისაგან დაცლილი ვაჟკაცის გულმა ველარ გაუძლო. ექიმად დაბადებულ ბიჭს, დასტაქრის ხელი ველარ მისწვდა.

ხუთ იანვარს გადაუღებლად თოვდა თბილისში. ქუჩები ხალხით იყო გადატვირთული. აფხაზეთიდან ჩამოსული მეომრები ბრძოლის ველზე დაცემულ ვაჟკაცის სასახლეს ხელიდან ხელში გადასცემდნენ და თან დედასამშობლოს უკვდავების ფიცს დებდნენ.

ამბობენ — „ხე ფესვებით, კაცი კი მოძმით მძლავრობსო“ — ეს აფხაზური ანდაზაა. ვაგლახ, რომ გზააცდენილებმა მოძმეც და ხეც დაივიწყეს. უკუღმართად ნასროლმა ტყვიამ ხეს ფესვები დაუზიანა, მოძმეს კი გული ატკინა. მიწა უდანაშაულო ვაჟკაცთა სისხლით გაიჟღინთა, ფესვები გამაგრდა. გიორგისა და მისი მსგავსი ბიჭების ხელით ხე გადარჩა, რომ ერთიან საქართველოში კაცმა, მოძმის ერთგულებით, საუკუნოდ იხაროს.

ციცანა სიხარულიძე.

ხსოვნა

ზურაბ გეგუჩაძე

კიდევ ერთი კაცური კაცი დაკარგა თბილისმა, ზურაბ გეგუჩაძე — ყველას გულშემატკივარი, თანამდგომი, ყველასათვის ახლობელი.

ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ იგი აღარ არის. ცოტა ხნის წინ რომ ჩვენს შორის დადიოდა, სიცოცხლით სავსე, მუდამ მოძრავი, საქმიანი, იმედიანი. რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ბატონი ზურაბი ველარ ითავკაცებს თავის ოჯახში, თავის მეგობრებში, ველარ იხმაურებს თავის სასწავლებელში — თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებელში, რომელსაც თითქმის ათეული წელი ღირსეულად უძღვებოდა.

წავიდა ჩვენგან, დაგვიტოვა დიდი ტკივილი, უსასრულო სიცარიელე, რომელსაც ალბათ ვერაფერი ამოავსებს. ობლად დატოვა ოჯახი, მეგობრები...

გაცილებთ უკანასკნელ გზაზე. გვრჩება უამრავი მოგონება. გვჯერა, რომ სული უკვდავია და არასოდეს მიგვატოვებ.

მეგობრები.

ლალი კუპრაშვილი-ონიანი

გარდაიცვალა ქ. თბილისის № 51 აფთიაქის გამგე ლალი გივის ასული კუპრაშვილი-ონიანი. წავიდა ჩვენგან ერუდირებული, თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე პროვიზორი, პრინციპული, უანგარო და გულისხმიერი ადამიანი.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1974-82 წლებში იგი მუშაობდა ქუთაისის საამფთიაქო დაწესებულებებში, 1982 წლიდან სიკვდილამდე — თბილისის № 51 აფთიაქის გამგედ.

ისეთი ადამიანების წასვლა ამ ქვეყნიდან, ვისაც სიკეთე და კაცთმოყვარეობა ცხოვრების წესად ჰქონდა, ყოველთვის გაუნელებელ სევდას იწვევს. ასეთი იყო ლალი. მისი თბილი გული ყველას სწვდებოდა, ყველას სატკივარს იტევდა, ყველას ანუგეშებდა. სამი შვილის დედამ აფხაზეთიდან ლტოლვილებიც შეიფარა, სითბო და გულისხმიერება არ მოაკლო. სამეგობროსა და სანათესაოსათვის მისი გულითადობა ხომ სამაგალითო იყო.

ლალი კუპრაშვილის მსგავს ადამიანებს დავიწყება არ უწერიათ.

მეგობრები, თანამშრომლები.

ამინდი

როგორმე ზამთარს თუ გადავურჩით

როცა საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსს **ჯემალ დოლიძეს** ვკითხეთ ასეთი ნაადრევი დაზამთრების მიზეზი, მან გვიპასუხა: ნაადრევად იმიტომ გვეჩვენება, რომ ბინებში გათბობა არა გვაქვს, თორემ ნოემბრიდან აცივება ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ.

არადა, მთელ კვირას, ორშაბათიდან მოყოლებული შაბათის ჩათვლით: თითქმის მთელ საქართველოს ბარში წვიმდა, მთებში თოვდა. თოვლის ყველაზე მაღალი საფარი ბახმაროშია, აქ მისი სიმაღლე 82 სანტიმეტრია, ჯვრის უღელტეხილზე — 45, ქართლ-კახეთში — 10-20 სანტიმეტრი. შესაბამისად, ტემპერატურამაც დაიწია. დასავლეთ საქართველოს ბარში 1-4 გრადუსი სითბო იყო, მთებში 1-6 გრადუსი ყინვა. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 4-9, მთებში — 5-10, გრადუსი ყინვა. ცივი ჰაერის გარღვეული ნაკადი ჩვენში შავი და კასპიის ზღვების მხრიდან შემოვიდა, რასაც დაერთო სამხრეთ-დასავლეთის ქვეყნებიდან თბილი ჰაერის მასებთან აღრევა, ამ პროცესმა ჩვენში აცივება გამოიწვია. ეს პროცესი ისევ გაგრძელდება, ასე რომ, უახლოეს დღეებში ხანგამოშვებით ბარში, კვლავ იწვიმებს, მთებში მოთოვს. ტემპერატურა მნიშვნელოვნად არ მოიმატებს.

უჩვენებს თბილისი

ეთერშია საქართველო

ოთხშაბათი

17 ნოემბერი

7.25 **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.05 ფრანგული ენა. 9.40 გერმანული ენა. 10.15 ინგლისური ენა. 13.00 **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 მხატვრული ფილმი. 18.35 განცხადებები. 18.45 **ანძა** — ტელემარკეტინგი. 18.55 — ფასები. 19.10 თუ კაცი მოინდომებს... 19.45 ქართული მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 რეკლამა. 20.00 **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 ერთი მოთხრობის კონკურსი. 21.05 დედოფლის გვირგვინისათვის. 21.20 მღერის ანსამბლი „ჰანგი“. 21.50 დოკუმენტური ფილმი. 22.00 **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 ვიდეო... ვიდეო... 24.00 **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ხუთშაბათი

18 ნოემბერი

7.25 **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 **ანძა** — ტელემარკეტინგი. 17.00 **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 საქართველოს ისტორია. 17.45 ქართული ლიტერატურა. 18.15 მულტიპლიკაციური ფილმი. 18.35 განცხადებები. 18.40 რამპა. 18.45 — ტუბ-დისპანსერი. 19.00 ჩვენი გავროშები. 19.25 ირაო. 19.55 რეკლამა. 20.00 **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 საქართველო და გარესამყარო. 21.10 ოლიმპიური პანორამა. 21.40 დოკუმენტური ფილმი. 22.00 **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 მხატვრული ფილმი. 24.00 **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

პარასკევი

19 ნოემბერი

7.25 **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 ფრანგული ენა. 17.50 ფრანგული ენა. 18.25 ინგლისური ენა. 18.55 განცხადებები. 19.00

ილსდექ, საქართველო! (გადაცემა პირველი). 19.30 **ანძა** — ტელემარკეტინგი. 19.40 მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 რეკლამა. 20.00 **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — პოლიტიკა. 21.00 დედოფლის გვირგვინისათვის. 21.15 თუ მუსიკა გიყვართ... 22.05 **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.35 მხატვრული ფილმი. 24.00 **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

დღეს თუ გამოიწერთ, ხვალ მოგებული იქნებით!


— თუ შეგიძლია „საქართველოს რესპუბლიკა“ გამომიწერინე

ყველაზე მეტად სწორედ ახლა, ამ არეულ დროს სჭირდება ჩვენი გაზეთი თითოეულ თქვენგანს, თქვენს ოჯახებს, ძვირფასო მეგობრებო!

თუ გსურთ ოპერატიულად შეიტყოთ ახალი ამბები, გაერკვეთ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ პროცესებში, ეკონომიკაში, თვალი გაადევნოთ მსოფლიოში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, იჩქარეთ, გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, კიდევ მისი ერთი ნომრის ფასი ყველაზე იაფია, თორემ, რა ვიცით, ჩვენი კუპონის შემხედვარე ხვალ-ზეგ რა გუნებაზე დავდგეთ.

მაშ, ნუ დაელოდებით გამოწერის უკანასკნელ ვადას — 25 ნოემბერს, ახლავე მოისტუმრეთ ეს საქმე, ხვალ მოგებული იქნებით!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა შეუფერხებლად შეიძლება „საქპრესის“ ნებისმიერ განყოფილებაში. ჩვენი ინდექსია 66434.

მხატვარი ვახტანგ კუცია.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29. ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА